ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 12 ივლისი, 2022 | №135 (8913) | ფასი: 80 თეთრი

გვ.5

ზაქრო ვარდიაშვილმა მძიმარე ცოლი მოკლა

პროკურატურა „მთავარისა“ და „ფორმულას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას დეზინფორმაციას უწოდებს

გვ.5

„შალვა პაპუაშვილი „ქართულ ოცნებას“ უნდა გაემიჯნოს!“

გვ.2

გიორგი ვაშაძე: „ივანიშვილი უკვე ნახევრად სანქცირებულია, ცოტაც და მთლიანად დასანქცირდება“

„ქართულ ოცნებას“ კანდიდატობის მიღება არ უნდა“

გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „ივანიშვილის სანქცირების რეალობას ვერ ვხედავ“

„ოცნებას“ აბსოლუტურად არაფრის გაკეთება არ უნდა და ცდილობს, ყველაფერი ოპოზიციას დააბრალოს“

„ხელისუფლებას რუსეთის ეშინია, დასავლეთის — არა“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „თუ დეკემბრამდე უკრაინაში პუტინი დამარცხდება, მაშინ „ქართული ოცნება“, მერწმუნეთ, 12-ვე პუნქტს შეასრულებს“

ბექა დავითულიანი: „ოპოზიციას ხელისუფლების არჩევნების გარეშე შეცვლის შანსი არ მიეცემა“

გვ.2

მარკეტა გრეგოროვა: „მოლდოვამ კანდიდატის სტატუსი მიიღო, რადგან მას პროევროპული ხელისუფლება ჰყავს“

გვ.4

გვ.2

პრემიერი: „ვიზიარებ იმ დიდ სიხარულს, რომელიც მოგვანიჭეს ჩვენმა სახელოვანმა მორაგბეებმა“

გვ.4

ნინო წილოსანი: „არეულობისა თუ დესტრუქციის ფორმატი ნამდვილად ვერ იქნება დასავლურ გზაზე წარმატების მომტანი“

ოკუპირებული აფხაზეთის უძრავ ქონებას რუსეთი ეპატრონება



გვ.4

2 პაატა მანჯგალაძე: „ბიძინა ივანიშვილი თავის გადასარჩენად დასავლეთს ევაჭრება“

3 ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის ჯუმა მეჩეთში მუსლიმებს ყურბან-ბაირამის დღესასწაული მიულოცა

6 ლიზ ტრასი გაერთიანებული სამეფოს პრემიერობისთვის იბრძოლებს

6 პოლიციელებისგან გაქცევის მცდელობამ დამნაშავე უშარვლოდ დატოვა

1993230720223

„შალვა პაპუაშვილი „ქართულ ოცნებას“ უნდა გაემიჯნოს!“

გიორგი ვაშაძე: „ივანიშვილი უკვე ნახევრად სანქცირებულია, ცოტაც და მთლიანად დასანქცირდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, ხელისუფლება აცხადებს, რომ მან დაიწყო 12-პუნქტიან გეგმაზე მუშაობა და ოპოზიცია ამ პროცესს არ უერთდება. ამ ფონზე კი „ქართული ოცნება“ ულტიმატუმის ენით ესაუბრება დასავლეთს. რა ხდება, რა გზას დაადგა ხელისუფლება?

– წარმოუდგენელი მგონია საერთოდ ხელისუფლებასთან ურთიერთობა, რომლის მთავარი სამიზნე გახდა ამერიკის შეერთებული შტატები, ევროპა, ამერიკის ელჩი და მისი მთავარი მოკავშირეა რუსეთი. მოყვარეს მტრად აცხადებს და მტერს – მოყვრად. მე დღეს ძალიან კონკრეტული განცხადება გავაკეთე: შალვა პაპუაშვილი უნდა შეეშვას ცრუ საქმის კეთებას და კატეგორიულად ერთხელ მაინც შეასრულოს თავისი ფუნქცია, ადგეს და გაემიჯნოს ამ სიტუაციას.

– გაქვთ ამის იმედი?

– ეს ტესტია მისთვის. დავუყენე ეს მოთხოვნა. საქართველოში, კონსტიტუციით, მეორე თანამდებობის პირი პარლამენტის თავმჯდომარეა და მას თავისი პასუხისმგებლობა აქვს. შესაბამისად, კატეგორიულად უნდა გაემიჯნოს იმ აღვირახსნილ ქმედებებს, რომლებსაც ადგილი აქვს ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

– კობახიძე ულტიმატუმის ენით ესაუბრება ევროკავშირს, 2%-მდე დავწევთ ბარიერს, თუ სტატუსს მოგვცემთო. რა ხდება, ევაჭრება ევროპას?

– ეს ყველაფერი უკვე არაადეკვატურობის პიკია. მთავარი ამოცანა დეოლიგარქიზაციაა და რა შუაშია ბარიერის აწევა და დაწევა. ეს საკითხს ვერ წყვეტს. მხოლოდ ბარიერის დაწევა არაფერს არ ნიშნავს.

– დეოლიგარქიზაციაა მთავარი საკითხიო. რამდენად სერიოზული საფრთხე ემუქრება ბიძინა ივანიშვილს და, „ოცნების“ რიტორიკას თუ გავითვალისწინებთ, რამდენად მიდის ვაბანკზე?

– ივანიშვილი სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ეს არის შეთქმულება საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, რომელიც დაგეგმილია რუსეთში. ეს უკავშირდება არა მხოლოდ კანდიდატის სტატუსს, არამედ ასევე აბრეშუმის გზის ისტორიული მოცემულობის აღდგენას რუსეთის გვერდის ავლით. ამის ქვაკუთხედი კი არის საქართველო. ობიექტურად რომ ვთქვათ, ან შვეიცარია ვიქნებით ორ წელიწადში, ან რუსეთის უკანა ეზო. ეს მოცემულობაა და ეს გვაქვს გასაკეთებელი. ივანიშვილისა და „ოცნების“ რეჟიმის პირობებში კი ამის გაკეთება ყოვლად წარმოუდგენელია.

– ბატონო გიორგი, საყვედურიც მოვისმინე ოპოზიციის მისამართით, როდესაც ოპოზიცია ამ სამუშაო პროცესში არ ერთვება, ამით ის ხელისუფლებას აძლევს საშუალებას, თავი დაიძვრინოს, უნდა შევიდეს მოლაპარაკებებში და ამხილოს ხელისუფლებაო. ამას რით უპასუხებთ?

– ამას ვინ ამბობს?

– ექსპერტები, ასევე – არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილიც.

– ყველას თავისი მოსაზრება აქვს.

– არანაირი პირობით არ აპირებთ პროცესში ჩართვას?

– აგერ არის ორი საკითხი: გაემიჯნოს შალვა პაპუაშვილი თავისი თანაგუნდელების ყველა აზრს, გაემიჯნოს „ქართული ოცნების“ ყველა ოფიციალურ პოზიციას და მეორე, რიგგარეშე სესიაზე ახლა შევაგროვებთ 38 ხელმოწერას და დაიწყონ იმ კანონპროექტების მიღება, რომლებიც რეგისტრირებულია პარლამენტში. თუ ამას გააკეთებენ, სიმართლე გითხრათ, არ მჯერა, რომ გააკეთებენ, მაგრამ ეს იქნება ტესტი. ათასი ექსპერტია და ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ ჩვენ, პოლიტიკოსებს, პასუხისმგებლობა გვაქვს ქართველ ხალხთან. საქართველოს მოქალაქეებს ვერაფრით ვერ მოვატყუებთ და ვერ მივიღებთ იმ ცრუ პროცესში მონაწილეობას, რომლითაც რაღაც ანტურაჟს შევუქმნით ოლიგარქიულ რეჟიმს საქართველოში! ახლა სხვა ვითარებაა, მიღებულია 12– პუნქტიანი გეგმა, სადაც ერთ-ერთი მთავარი საკითხია დეოლიგარქიზაცია და ამის მერე – დეპოლარიზაცია. დეპოლარიზაცია ამ ქვეყანაში დეოლიგარქიზაციის შემდეგ მოხდება.

– ვერაფერს უმტკიცებენ ივანიშვილს და არ დაასანქცირებენო. რას ფიქრობთ ამ კუთხით?

– ივანიშვილი უკვე ნახევრად სანქცირებულია. ხომ ამბობს, რომ ყველა გადარიცხვა შეჩერებული აქვს. ცოტაც და მთლიანად დასანქცირდება. აღდგომა და ხვალეო. ეს აუცილებლად მოხდება.

– მარტო „ოცნებას“ თუ მივანდეთ ეს პროცესი, მაშინ დავკარგავთ კანდიდატის სტატუსს.

– ცალსახად ასეა.

– მაშინ, რის გაკეთებას აპირებთ?

– ჩვენ გვაქვს სამი მიმართულება: პირველი, სამოქალაქო სექტორთან ერთად სრული პაკეტის შემუშავება ივლის-აგვისტოს პერიოდში, რომ საბოლოოდ გადავწყვიტოთ რეფორმების შემუშავების პროცესი. პირველ სექტემბერს სრული პაკეტი უნდა დაიდოს მაგიდაზე. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ხალხთან მეტი ურთიერთობა და მათთან ერთად არაძალადობრივი პროტესტის დაწყება სექტემბერში, რასაც ასევე სჭირდება ოპოზიციის ერთიანობა და სწორედ ოპოზიციის ერთიანობით საერთაშორისო ასპარეზზე უფრო მეტად მუშაობა, რომელიც, საბოლოო ჯამში, დიდ გამარჯვებას მოგვიტანს. ამ გეგმაზე აქტიურად ვმუშაობთ და აუცილებლად გავალთ შედეგზე.

ბექა დავითულიანი: „ოპოზიციას ხელისუფლების არჩევნების გარეშე შეცვლის შანსი არ მიეცემა“

– ოპოზიციას ხელისუფლების ექსტრემალური გზით, არჩევნების გარეშე შეცვლის შანსი არ მიეცემა – დროა, ადრე თუ გვიან ჭკუა ისწავლონ, მოვიდნენ, დასხდნენ და ქვეყნისთვის იმუშაონ.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ბექა დავითულიანმა განაცხადა.

დავითულიანი ოპოზიციას ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების მიზნით „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებულ პროცესში ჩართვისკენ მოუწოდებს.

– ევროკავშირმა დავალება მოგვცა. ამ ქვეყანას ჰყავს კანონიერად და ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლება. შესაბამისად, კანონიერად არჩეული ხელისუფლება იწყებს რეკომენდაციების შესრულების პროცესს. ეს ასეა და სხვაგვარად ვერ იქნება. ხელისუფლებამ საკუთარი გეგმა დააანონსა, გახსნა კარი და პოლიტიკურ ჯგუფებს მოუწოდა, დაუჯერონ ევროკავშირის რეკომენდაციებს, დაასრულონ პოლარიზაცია და პროცესს შეუერთდნენ.

ვინც შეუერთდება ის ამ რეკომენდაციებს ასრულებს, ვინც არ შეუერთდება, ის ანტიევროპულად იქცევა და რადიკალიზაციის გაღრმავებას ცდილობს.

ოპოზიციისთვის რადიკალიზაცია ერთადერთი გზაა, რომელიც ხელისუფლებაში არჩევნების გარეშე შეიძლება იყოს გამოყენებული. ვინაიდან არჩევნებით ვერ ახერხებენ ხელისუფლების მოპოვებას, ცდილობენ რამენაირად იპოვონ მიზეზი, რაც მათ ექსტრემალურ ვითარებაში, არჩევნების გარეშე ხელისუფლებაში მოიყვანს, – განაცხადა ბექა დავითულიანმა.

ისრაელი თანახმაა, საკაშვილის ექსპერტიზის პროცესში ჩაერთოს

ისრაელი თანახმაა, მიხეილ საკაშვილის ექსპერტიზის პროცესში ჩაერთოს. ოფიციალური წერილი მესამე პრეზიდენტის ადვოკატებმა უკვე მიიღეს.

მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მონაცემები კიდევ 50 ქვეყანაშია გაგზავნილი.

ნატოს რომელი ქვეყნის მედიკოსები ჩაერთვებიან საქართველოს მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის ექსპერტიზაში, კვირის ბოლომდე გაირკვევა.

– გაიგზავნა (მოწვევა) ისრაელში, ნატოს წევრ სახელმწიფოებში და აშშ-შია გაგზავნილი. საუბარია, 50 საექსპერტო ჯგუფზე. ისრაელმა თანხმობა უკვე გამოგვიცხადა. რამდენიმე წუთის წინ, აშშ-დან ერთი ექსპერტისგან მოგვივიდა თანხმობა, – აცხადებს ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე.

ადვოკატის თქმით, დრო არ ითმენს, რადგან მიხეილ საკაშვილის ჯანმრთელობა მძიმეა.

პრემიერი: „ვიზიარებ იმ დიდ სიხარულს, რომელიც მოგვანიჭეს ჩვენმა სახელოვანმა მორაგბეებმა“

– ვიზიარებ იმ დიდ სიხარულს, რომელიც მოგვანიჭეს ჩვენმა სახელოვანმა მორაგბეებმა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს იყო ტრიუმფული გამარჯვება.

– პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მეც კიდევ ერთხელ ვიზიარებ იმ დიდ სიხარულს, რომელიც მოგვანიჭეს ჩვენმა სახელოვანმა მორაგბეებმა. ეს მართლაც იყო ტრიუმფული გამარჯვება ჩვენი მორაგბეების და კიდევ ერთხელ მინდა მათ მადლობა გადავუხადო ასეთი გმირობისთვის, გამარჯვებისთვის. ჩვენ ვამაყობთ თქვენით.

ბოლო პერიოდში ჩვენ არაერთი გამარჯვების მომსწრენი გავხდით, ჯერ ფეხბურთში, შემდეგ კალათბურთში, ახლა უკვე რაგბიში. ეს მართლაც ძალიან დიდი გამარჯვებაა და კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა ვუთხრა მათ, – განაცხადა პრემიერმა.

შიდა ფრენებზე სიხშირეები იზრდება

შიდა ფრენებზე გაზრდილი მოთხოვნის გამო 11 ივლისიდან შიდა ფრენებზე სიხშირეები იზრდება. როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ აეროპორტების გაერთიანებაში განუცხადეს, ფრენების სიხშირე გაიზრდება როგორც მესტიის, ასევე ბათუმისა და ამბროლაურის მიმართულებით. ახალი განრიგი შიდა ფრენებზე 31 აგვისტომდე იმოქმედებს.

ახლა ფრენები ბათუმი-თბილისი-ბათუმის მიმართულებით ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და კვირას ხორციელდება. ნატახტარი-მესტია-ნატახტარი – ორშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს. რაც შეეხება ამბროლაურს, 1-10 ივლისის განმავლობაში ამბროლაურში რეისები მხოლოდ პარასკევსა და კვირას სრულდებოდა.

აეროპორტების გაერთიანებაში ამბობენ, რომ 11 ივლისიდან მესტიისა და ბათუმის მიმართულებით ფრენები კვირაში 7-ჯერ შესრულდება, ამბროლაურში კი – კვირაში 3-ჯერ.

რაც შეეხება ფასებს, უწყების ცნობით, ნატახტრიდან მესტიის მიმართულებით ერთი გზა 90 ლარი ღირს, 3 წლამდე ბავშვებისთვის უფასოა, ხოლო 3-დან 12 წლამდე მოქმედებს 30%-იანი ფასდაკლება.

ამბროლაურის მიმართულებით ერთი გზის ღირებულებაა 50 ლარი, 3 წლამდე ბავშვებისთვის უფასოა, ხოლო 3-დან 12 წლამდე მოქმედებს 30%-იანი ფასდაკლება.

ბათუმის მიმართულებით 125 ლარი ღირს, 3 წლამდე ბავშვებისთვის უფასოა, ხოლო 3-დან 12 წლამდე მოზარდებისთვის მოქმედებს 30%-იანი ფასდაკლება.

მესტია-ქუთაისის მიმართულებით – ზრდასრულებისთვის 50 ლარი, 3 წლამდე ბავშვებისთვის უფასოა, ხოლო 3-დან 12 წლამდე მოქმედებს 30%-იანი ფასდაკლება.

ინფორმაციისთვის, მგზავრობის საფასური, 2018 წლიდან მოყოლებული, უცვლელია.

პაატა მანჯგალაძე: „ბიძინა ივანიშვილი თავის გადასარჩენად დასავლეთს ევაჭრება“

– ივანიშვილი ვაჭრობს საქართველოთი და საქართველოს ინტერესებით, ჩვეულებრივი ვაჭრუკანაა.

ამის შესახებ ჟურნალისტებთან „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ლეგენდაა, რომ თითქოს ვინმემ „ქართული ოცნება“ დატოვა. დეპუტატი მიიჩნევს, რომ რეალურად ისინი ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებებს ახმოვანებენ.

– ივანიშვილის ადვოკატი ყიფიანი საუბრობს იმაზე, რომ ის ფაქტობრივად არის სანქცირებული. ის, რაც ხდება და როგორიც არის რიტორიკა, მიუთითებს იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის გადასარჩენად ევაჭრება დასავლეთს და ეუბნება – „მე უფრო ცუდად მოქცევაც შემიძლია“. ივანიშვილი ვაჭრობს საქართველოთი და საქართველოს ინტერესებით, ჩვეულებრივი ვაჭრუკანაა.

ლეგენდაა, რომ თითქოს ვინმემ „ქართული ოცნება“ დატოვა. ისინი არიან ჯგუფი, რომელიც დავალებას იღებს პირდაპირ რუსი კურატორებისგან. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ამით შეიქმნა „ალტ–ინფოს“ საპარლამენტო ჯგუფი და ის, რასაც ლაპარაკობენ ყაველაშვილი, „ქართული ოცნების“ ცალკეული წარმომადგენლები, მათ შორის, დიმიტრი სამხარაძე, ამას ლაპარაკობს ბიძინა ივანიშვილი, – განაცხადა მანჯგალაძემ.

„ევროკავშირს უნდა დავანახოთ, რომ დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგი დაბრუნებულია“

სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია პოლიტიკურ სპექტრს მოუწოდებს, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, ყველა ფორმატი იმისათვის, რომ ევროკავშირმა დაინახოს, რომ ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგი დაბრუნებულია.

მისი თქმით, მზად არის, პროცესში, სადაც საჭირო იქნება, მიიღოს მონაწილეობა.

– უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა და ფორმატი, რათა ევროკავშირს დავანახოთ, რომ ამ ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგი დაბრუნებულია...

არ ვფიქრობ, რომ მხოლოდ პროცესის დანახვა სჭირდება ევროკავშირს, ისინი ელოდებიან, რომ ამ პროცესის შედეგად მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის: მართლმსაჯულება, ანტიკორუფციული მიმართულება, სამართალდამცავი უწყებები, არჩევნები, გადადგმული იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ამიტომ ჩვენ, რა თქმა უნდა, პროცესს უნდა დავაკვირდეთ და ვნახოთ რამდენად არის ამის მზაობა ხელისუფლების მხრიდან.

რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას, სადაც საჭირო იქნება, მე ვარ კონსტიტუციური ორგანო და ჩემი კომპეტენცია, ჩემი ოფისის კომპეტენცია, სადაც საჭირო იქნება, ჩვენ მზად ვართ, რომ მივიღოთ მონაწილეობა, – განაცხადა ლომჯარიამ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – წურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართულ ოცნებას“ კანდიდატობის მიღება არ უნდა“

პაატა ზაქარეიშვილი: „ივანიშვილის სანქცირების რეალობას ვერ ვხედავ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი— კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, ხელისუფლებამ 12– პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად საპარლამენტო მუშაობა დაიწყო. რამდენად სწორად იქცევა ოპოზიცია, როდესაც ამ პროცესში არ მონაწილეობს?

– ოპოზიცია მონაწილეობს თუ არ მონაწილეობს, მთელი პასუხისმგებლობა მაინც „ქართულ ოცნებაზეა“. ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა და ოპოზიციის როლი არ უნდა იყოს გადამწყვეტი. რა თქმა უნდა, კარგია, თუ ეს იქნება კონსენსუსის შედეგი.

– ევროპარლამენტარების მხრიდანაც ვისმენთ მოწოდებებს, რომ ყველაფრის მიუხედავად, ოპოზიცია უნდა ჩაერთოს ამ პროცესში.

– კი ბატონო, ვისაც სურვილი აქვს, ჩაერთოს, მაგრამ, ვინც არ ერთვება, მაგათ გამო პროცესი არ უნდა შეფერხდეს. ახლა მაგათი დრო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მეც მიმაჩნია, უნდა ჩაერთონ, ეს მაინც არ არის გადამწყვეტი. გადამწყვეტია, „ქართული ოცნება“ ამაზე სპეკულირებს თუ არა. ჩემი მთავარი პრობლემა არასდროს არ არის ოპოზიცია და მასზე ლაპარაკი. მთავარია მმართველი ძალა და რას აკეთებს ის.

– და რას აკეთებს დღეს ხელისუფლება? გვესმის შეფასებები, რომ „ქართული ოცნება“ დასავლეთს ულტიმატუმის ენით ესაუბრება.

– კი ბატონო, ასეა. „ქართულ ოცნებას“ აბსოლუტურად არაფრის გაკეთება არ უნდა და ცდილობს, ყველაფერი ოპოზიციას დააბრალოს. ამიტომ ოპოზიციას ჭკუა უნდა ეყოს და არ უნდა მისცეს „ქართულ ოცნებას“ საშუალება, ჩააგდოს კანდიდატის სტატუსის მიღების გარანტიები მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიციას დააბრალოს ყველაფერი. „ქართულ ოცნებას“ არ უნდა კანდიდატობის მიღება. ის ულტიმატუმს უყენებს ევროპას.

– რას ნიშნავდა კობახიძის განცხადება, თუ მოგვცემთ კანდიდატის სტატუსს, იმ შემთხვევაში დავწევთ ბარიერს 2%-მდეო?

– ეს არის აბსოლუტურად უგუნური და მავნებლური განცხადება! ძალიან სახიფათო განცხადებაა. რატომ? იმიტომ, რომ 2%-ზე საუბარი იყო მანამდე, სანამ ომი დაიწყებოდა უკრაინაში. არაფერი საერთო არ ჰქონდა 2%-ს ევროკავშირში განევრიანება-არგანევრიანებასთან. ამ დროს იწყება ომი, ჩნდება უნიკალური შანსი, შევიტანოთ განაცხადი სტატუსის მიღებაზე და ამ ფონზე უცებ ესენი უყენებენ ულტიმატუმს ევროკავშირს. რა შუაშია აქ ევროკავშირი? აბსოლუტურად შიდა მოხმარების საკითხია ბარიერის თემა. ეს არის აშკარა მცდელობა, რომ შემდგომ გაამართლონ, რატომ არ მოგვცემენ ჩვენ კანდიდატის სტატუსს. „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არ გავწევრიანდეთ. აი, ეს ულტიმატუმიც არის ამის ნაწილი.

„ოცნებას“ აბსოლუტურად არაფრის გაკეთება არ უნდა და ცდილობს, ყველაფერი ოპოზიციას დააბრალოს“

– ბატონო პაატა, ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ, ივანიშვილს სხვა გზა არ დარჩენია და მიდის ვაბანკზე, მისი სანქცირებაც საკმაოდ რეალურიაო.

– მე ვერ ვხედავ მისი სანქცირების რეალობას. ივანიშვილი ახლა გადაყვანილია იმ რეჟიმში, რა დროსაც მიმდინარეობს შესწავლა, რამდენად შესაძლებელია მისი სანქცირება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად დაასანქცირებენ. საფუძველი ძალიან ცოტაა, სერიოზული მტკიცებულებებია საჭირო. თუ დაასანქცირებენ, სანქცია უნდა იყოს იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უწყობენ რუსეთის აგრესიას უკრაინაში. ძალიან ძნელი დასამტკიცებელი იქნება, რომ ივანიშვილი ხელს უწყობს რუსულ აგრესიას უკრაინაში.

– საფინანსო პრობლემები ხომ შეექმნა შვეიცარიაში?

– შეექმნა იმიტომ, რომ შვეიცარიის ბანკი არის კერძო ბანკი. მან ჯარიმა უნდა გადაუხადოს ივანიშვილს. ის ფიქრობს, რატომ გადავუხადო, როცა ივანიშვილის არის სანქცირების კანდიდატიო? შვეიცარიის ბანკმა კარგად და ეფექტურად გამოიყენა ეს მომენტი. დღეს ივანიშვილი გადაყვანილია შუალედურ, არაკომფორტულ მდგომარეობაში. მას სწავლობენ. შვეიცარიულმა ბანკმა კი თქვა, რადგან სწავლობთ, მაშინ მეც მოვიცდი, თუკი სანქციები ეკუთვნის ამ კაცს, რატომ უნდა გადავუხადო ფულიო? დაიცდის, თუ დაასანქცირებენ, არაფერსაც არ გადაუხდის, თუ გადარჩა სანქცირებას ივანიშვილი, ამის მერე მიიღებენ გადაწყვეტილებას, როგორ მოიქცნენ. აი, ეს სიტუაციაა. ივანიშვილისთვის ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ, რომ იტყვიან, ის ეჭვმიტანილია. ჯერჯერობით არ ჩანს მყარი მტკიცებულებები მის წინააღმდეგ.

– როგორ ფიქრობთ, არის ხელისუფლება ამ 12 პუნქტის შემსრულებელი? ოპოზიციაც ყალბ მოლოდინებს ქმნისო. აქციებიც ისე დასრულდა, რომ რეალური შედეგი არ დაიდო.

– დღეს ქვეყნის მთავარი პრობლემა „ქართული ოცნებაა“, რომელიც ოპოზიციის ამ უუნარობას თავის სასარგებლოდ იყენებს. ოპოზიციაც ძალიან ცუდად იქცევა, ყოველ ჯერზე ხელისუფლებას აძლევს საშუალებას, ის თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს და ამ 12 პუნქტს არ შეასრულებს. რაში სჭირდებათ დემოკრატია? ასე არ ჯობია?! მიზეზებს ეძებენ, ულტიმატუმებს, პირობებს აყენებენ და შემდეგ მუდმივად ლაპარაკობენ, რომ ოპოზიციის ბრალია. ოპოზიციის ბრალი ვერაფერი ვერ იქნება. ოპოზიციამ თუ შეიძლება რამე დაანგრიოს, მხოლოდ თავისი თავი და მეტი არაფერი.

– მაშინ, რა იქნება, ვკარგავთ სტატუსის მიღების შანსს?

– არაფერი არ იქნება. იქნება აფრიკა! რატომ გვინდა იმაზე მეტი, ვიდრე ვხტებით? რატომ ვცდილობთ, გადავახტეთ იმას, რასაც ვერ გადავახტებით?! არ უნდა ქართველ ხალხს ეს დემოკრატია და ძალაა?! სანამ მთლიანად ახალი თაობა არ ჩაანაცვლებს ძველს, მანამ არაფერი გვეშველება. ვინც ქუჩაში გამოდის, 100 თუ 150 ათასი კაცი, კი ბატონო, გაუმარჯოს მათ, მაგრამ 500 ათასი ტახტზეა წამოწოლილი და დაგვცინის! აი, ესაა პრობლემა. მე რომ დღეს ოპოზიცია ვაკრიტიკო, ამით „ოცნებას“ გავაძლიერებ. ამიტომ არ მინდა, ჩავჯდე „ქართული ოცნების“ ნარატივში. ოპოზიციას ბევრი შეცდომა აქვს, ესეც უნდა ითქვას, თუნდაც ადგილობრივი არჩევნები რომ რეფერენდუმად გამოაცხადა და ხალხი დააბნია. დღემდე არ უღიარებიათ, რომ ეს შეცდომა იყო! აი, გამოვიდა ვაუკაცურად „სირცხვილია“ და ბოდიში მოიხადა, არასწორად წარვმართეთ სტრატეგიაო. შეცდომები იყო, თუმცა განსაკუთრებული – არაფერი. ახალგაზრდები არიან და მათაც მოსდით შეცდომები. ეს ტრაგედია არ არის. ოპოზიციას კი ერთი ბოდიში არ მოუხდია. გეთანხმებით, ოპოზიცია საზიზღრად იქცევა, მაგრამ მილიონჯერ საზიზღრად იქცევა „ქართული ოცნება“!

– „სირცხვილია“ ახსენეთ და სერიოზული შეცდომები დაუშვეს?

– დაუშვეს და ბოდიშიც მოიხადეს. ბოდიშის მოხდა კი ღირსეული საქციელია. მანამდე მათ არ ვენდობოდი, ბოდიშის მოხდის შემდეგ კი მათ მიმართ ნდობა გამიჩნდა. დროა, ეს ახალგაზრდებიც ამ 12 პუნქტზე გადაერთონ, მისი საჯარო განხილვები მოითხოვონ, გამართონ მიტინგები და ამით მოახდინონ ზეწოლა ხელისუფლებაზე. გადადექი-გადმოდექი კი არა, ყველამ ამ 12 პუნქტზე უნდა იმუშაოს.

„ხელისუფლებას რუსეთის ეშინია, დასავლეთის — არა“

ვახტანგ ძაბირაძე: „თუ დეკემბრამდე უკრაინაში პუტინი დამარცხდება, მაშინ „ქართული ოცნება“, მერწმუნეთ, 12-ვე პუნქტს შეასრულებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, 12 პუნქტთან დაკავშირებით რა რეალურ დათმობაზეა წამსვლელი ხელისუფლება?

– ალბათ რაღაცებზე წავა, მაგრამ, რამდენად წავა ისეთ პუნქტებზე, რომლებსაც „ქართული ოცნებისთვის“ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვერ გეტყვით. არის მათთვის მტკივნეული საკითხები, რომლებზეც ლაპარაკიც კი არ უნდათ. ალბათ აქვთ გაწერილი თავიანთი სამოქმედო გეგმა, რომლის იქით ვერ გადავლენ. ჯერ არ მოახდენენ იმის აფიშირებას, თუ რას დათმობენ და რას – არა.

ხელისუფლებას ჯერ თავისთვის დრო აქვს, რაღაც კონდიციამდე მიიყვანენ კანონპროექტებს და მერე ჩააგდებენ. ეს არ გაუჭირდებათ. „ქართული ოცნება“ დროის გაყვანას შეეცდება და უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგებიდან გამომდინარე იმოქმედებს.

– უკრაინის ომის შედეგებზეა მიბმული „ქართული ოცნება“ თუ რა პოლიტიკას გაატარებს, შეასრულებს ევროკავშირის 12-პუნქტიან გეგმას?

– რა თქმა უნდა, პირდაპირ ამაზეა მიბმული. თუ დეკემბრამდე უკრაინაში პუტინი დამარცხდება, მაშინ „ქართული ოცნება“, მერწმუნეთ, 12-ვე პუნქტს შეასრულებს. თუ პირიქით მოხდება, მაშინ პროცესები კიდევ უფრო მძაფრ სახეს მიიღებს. ხელისუფლებას რუსეთის ეშინია, დასავლეთის – არა. ეს ცალსახაა. ამით არ ვამბობ, რომ „ქართული ოცნება“ პრორუსია. შიშზე ვსაუბრობ. ამიტომ საქართველოში შიდა პოლიტიკური პროცესების განვითარება პირდაპირ უკრაინის ომის ბედთან არის მიბმული.

– თქვენ თქვით, რუსეთის ეშინიაო, მაგრამ ივანიშვილს სანქციების არ ეშინია?

– როგორ ფიქრობთ, სანქციები ურჩევნია თუ სიცოცხლე, რომ გადარჩეს?! არ გამოვრიცხავ, რუსეთიდან პერსონალური ზეწოლაც კი იყოს ივანიშვილზე. რუსული სპეცსამსახურები როგორ მუშაობენ, ახალი ამბავი ხომ არ არის. რა ხდება „გაზპრომის“ წარმომადგენლებთან დაკავშირებით, ხომ ვხედავთ, როგორ მოწამლეს უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი იუშჩენკო, ბერეზოვსკი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ალბათ გასაგები მიზეზების გამო დატოვა 90-იანებში ივანიშვილმა ის სამყარო, როგორც კი ხიფათი იგრძნო, იქაურობას გაეცალა. შეუძლებელია, რუსული ჩექმის ქვეშ ცხოვრება გინდოდეს. ეს ხომ არ არის რთული მისახვედრი. რუსეთის სპეცსამსახურებს არ გაუჭირდებოდათ გზავნილების ივანიშვილამდე მიტანა. რასაკვირველია, მე თეორიულად ვსაუბრობ, როგორც ერთ-ერთ ვარიანტს, ისე განვიხილავ. არის მეორე ვარიანტიც, რომლის დაშვებაც ასევე შეიძლება, რომ 40 კილომეტრში მართლაც დგანან ტანკები და არაფერია გამორიცხული პუტინის მხრიდან.

– ოპოზიცია რამდენად არის პროცესების ადეკვატური? 170 ათასამდე ქუჩაში გამოსული პროტესტანტი ადამიანის ძალა რამდენად გამოიყენა?

– ქუჩაში გამოსული ეს ხალხი კვლავ ოპოზიციურად არის განწყობილი, მაგრამ ოპოზიცია ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, იმ სტანდარტს, რომელსაც ეს ხალხი უყენებს მას, როგორც ალტერნატივას.

ოპოზიციას მოქმედების გეგმა არ აქვს, თითქოს სერიოზულად არ ეკიდებიან იმას, რაც ქვეყანაში ხდება, როგორც ამ ისტორიულ შესაძლებლობასა თუ საერთოდ მოვლენებს. ოპოზიცია არასწორ მოლოდინებს ქმნის, რასაც შემდეგ კატასტროფულ შედეგამდე მივყავართ – ნიჰილიზმს ვგულისხმობ.

– ოპოზიციამ ამ პროცესში რა უნდა ქნას?

– ამ 12 პუნქტის შესრულების პროცესში უნდა ჩაერთოს. გასაგებია, რომ აზრი არა აქვს, რომ ხელისუფლებას ნდობა აქვს დაკარგული, მაგრამ შენ, როგორც ოპოზიცია, უნდა შეეცადო, ყოველდღიურად გააშიშვლო ხელისუფლება. შენ უნდა შექმნა პროცესი და არა პირიქით. ახლა გამოვა „ქართული ოცნება“ და ყველაფერს ოპოზიციას გადააბრალებს, იტყვის, ჩვენ ყველაფრისთვის ვიყავით მზად და ოპოზიციამ თქვა მონაწილეობაზე უარიო, მით უფრო, როდესაც დასავლეთი ოპოზიციის ჩართულობას ითხოვს.

კონკრეტულ საკითხებზე, კონკრეტულ კანონპროექტებზე უნდა იმუშაონ იქამდე, რომ პარლამენტში სესიაზე გაიტანონ, გარეთ კი პარალელური პროცესი უნდა იყოს. მაშინ უნდა დაუძახონ რუსთაველზე 170 ათას ადამიანს, რომ ზეწოლა მოხდეს ხელისუფლებაზე. მერე ვნახავთ, რამდენად ჩააგდებენ. ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენეს გადადგომაზე. ხომ ძალიან ადვილი მისახვედრი იყო, რომ არავინ არ გადადგებოდა და შემდეგ ამას დიდი იმედგაცრუება მოჰყვებოდა. მოჰყვებოდა ის, რაც მოჰყვა. ასეთი მარტივი ჭეშმარიტების გათვლა კი უნდა შესძლებოდათ, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ. ამას ვამბობ იმიტომ, რომ თითქოს გამოცდილება არ ჰქონდათ და ა.შ.

პროცესი პარალელურ რეჟიმში უნდა მიმდინარეობდეს. ქუჩა არ უნდა იყოს მთავარი, ქუჩას დამატებითი ფუნქცია უნდა ჰქონდეს. პროცესის გადატეხა შიგნიდან უნდა მოხდეს და არა გარედან.

თერჯოლის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ თანამდებობა და „ქართული ოცნება“ დატოვა

– ვტოვებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილეობას თერჯოლის საკრებულოში და პარტიას, – ამის შესახებ სოციალურ ქსელში ომარ ჯიხვაშვილი წერს.

– „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ – ყველას გვახსოვს, ხომ? ჰოდა, მეც მგონია, რომ ახლა თქმა სჯობს! როდესაც კითხვები არის, ამ კითხვებს პასუხები სჭირდება. ვერ ვიჯერებ, რომ ჩვენს ახლო მეგობრებსა და პარტნიორებს ოკეანის იქით მოსწონდეთ მათი წარმომადგენლის მოქმედება საქართველოში, როდესაც ის, იმის მაგივრად, რომ კითხვებზე პასუხობდეს და ემიჯნებოდეს ომის მოწოდებებს, შეურაცხყოფას აყენებს უმრავლესობით არჩეულ პარლამენტის წევრს, რომელმაც გაბედა მისთვის წერილის მიწერა.

თუ რამდენიმე ადამიანმა უნდა იტვირთოს ასეთი სიმართლის თქმა, რაც ხელისუფლების პარტიის წარმომადგენლისგან, მესმის, რომ ძალიან ძნელია, მეც მინდა, მათ რიგში ვიყო. ამიტომ ვტოვებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილეობას თერჯოლის საკრებულოში და პარტიას, – წერს ომარ ჯიხვაშვილი სოციალურ ქსელში.

ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის ჯუმა მეჩეთში მუსლიმებს ყურბან-ბაირამის დღესასწაული მიულოცა

„დიდი პატივისცემით მინდა მოგილოცოთ ყურბან-ბაირამის დღესასწაული. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ თითოეულ მუსლიმს, ჩვენს თანამოქალაქეს, გულითადად გილოცავთ დღევანდელ დღეს“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის ჯუმა მეჩეთში განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ყურბან-ბაირამი ეს არის სიკეთის დღე, სიკეთის გამარჯვების დღე, ახალი სიცოცხლის, იმედის მომცემი დღე.

– მინდა განსაკუთრებით მივულოცო დღევანდელი დღე სულიერ ლიდერებს, თითოეულ მუსლიმს, ჩვენს უცხოელ მეგობრებს, საელჩოების წარმომადგენლებს. ყურბან-ბაირამი ეს არის სიკეთის დღე, სიკეთის გამარჯვების დღე, ახალი სიცოცხლის, იმედის მომცემი დღე, სწორედ ამასთან ასოცირდება და ეს არის სიმბოლო გამარჯვების, სიკეთის და სიყვარულის. დღეს ჩემი აქ მოსვლით კიდევ ერთხელ მინდა დაგიდასტუროთ ჩემი ღრმა პატივისცემა თითოეულ თქვენგანს, თითოეულ მუსლიმს ჩვენი ქვეყნისა.

მინდა ვთქვა შემდეგი, ქართველები ვართ მართლაც გამორჩეული იმ ნიშნითაც, რომ ჩვენ ვართ სამაგალითო ტოლერანტული საზოგადოება. ჩვენს ქვეყანაში და ამ ქალაქში სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ საუკუნეების განმავლობაში და არცერთხელ არ ყოფილა რაიმე უკმაყოფილება და არ შექმნილა რაიმე უსიამოვნო პრეცედენტი. ჩვენ ვართ ტოლერანტული საზოგადოება. ჩვენ პატივს ვცემთ სხვის სარწმუნოებას, სხვის რელიგიას. ეს არის ჩვენი ვალდებულება, რომ თანაბრად მოვექცეთ, თანაბრად პატივი ვცეთ სხვის რწმენას, სარწმუნოებას, რელიგიას. ასე მესმის მე ქრისტიანობა, ასე გვესმის ჩვენ ყველას ქართველობა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურთან ერთად თბილისის ჯუმა მეჩეთში ასევე იმყოფებოდნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

მარკეტა გრეგოროვა: „მოლდოვამ კანდიდატის სტატუსი მიიღო, რადგან მას პროევროპული ხელისუფლება ჰყავს“

– მძულს განცხადების მოსმენა, რომ საქართველოს სტატუსზე უარი „ომთან შეერთების“ მიზეზს უკავშირდება. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ საქართველო უკვე იმყოფება ომში რუსეთთან, ვიცით, რომ საქართველო ოკუპირებულია. ჩვენ არ გვსურს, რომ ომს შეუერთდეთ, ჩვენ გვსურს, რომ თქვენ ევროკავშირს შეუერთდეთ,.

ამის შესახებ ევროპარლამენტარმა მარკეტა გრეგოროვამ „ინტერპრესნიუსისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის მიზეზების განმარტებისას განაცხადა.

მისი თქმით, აბსოლუტურად ცხადია, რატომ არ მისცა ევროკავშირმა საქართველოს კანდიდატის – ეს მოხდა იმის გამო, რომ იყო ბევრი დაძაბულობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის.

გრეგოროვას თქმით, ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობა პარტნიორობა უნდა იყოს და არა ორგანიზაციის გამოყენება, როდესაც ეს ხელსაყრელია საქართველოს ხელისუფლებისთვის.

– ვწუხვარ, რომ ეს სიტყვები მესმის (განცხადება, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო, რადგან ქვეყანაში ომის მეორე

ფრონტი არ გახსნა). ეს მამწუხრებს, რადგან აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს.

აბსოლუტურად ცხადია, რატომ არ მივეცით კანდიდატის სტატუსი საქართველოს და ეს დაწერილია. ეს მოხდა იმის გამო, რომ იყო ბევრი დაძაბულობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ჩვენ ვერ დავინახეთ ვერანაირი პროგრესი, იყო უფრო მეტად რეგრესი, სწორედ ამიტომ მივიღეთ რეზოლუცია მედიამდგომარეობასთან დაკავშირებით. ჟურნალისტები შავდებიან, მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობა და ა.შ. და ეს მხოლოდ აისბერგის წვერია, რადგან შემდეგ არის სასამართლო სისტემის რეფორმა, ოლიგარქების პრობლემა.

მაგალითად, მოლდოვა რომ ავიღოთ – იმიტომ არა, რომ ის ომის სამიზნეა. მხოლოდ ეკონომიკა რომ ყოფილიყო, ჩვენ არ უნდა მიგვეცა მისთვის კანდიდატობის სტატუსი, რადგან სინამდვილეში ეს მეტ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, ჩვენ შეგვეძლო, მათ უბრალოდ ფინანსური სახსრებით, ეკონომიკურად დავხმარებოდით, თუმცა მოლდოვამ მიიღო კანდიდატის სტატუსი, რადგან მას ჰყავს ძალიან პროევროპელი პრეზიდენტი, პროევროპული ხელისუფლება და პროევროპული პარლამენტი და ეს ჩვენ ვერ დავინახეთ საქართველოში. იყო დოკუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს 2024 წლისთვის ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანა სურდა, თუმცა არ იყო არანაირი ნაბიჯი და ჩვენ მხოლოდ ვისმენდით, რომ ევროპარლამენტარები იტყუებიან. აბსოლუტურად უცნაურია იმის განცდა, რომ ჩვენ მხოლოდ გავცემთ, მხოლოდ გავცემთ და ვერასდროს ვიღებთ რაიმეს სანაცვლოდ. ევროკავშირი საქართველოს ურთიერთობა პარტნიორობაა და არა ჩვენი გამოყენება, როდესაც ეს მოსახერხებელია საქართველოს ხელისუფლებისთვის.

სწორედ ამიტომ არ მოხდა საქართველოსთვის კანდიდატი სტატუსის მინიჭება, მაგრამ შემდგომი რეფორმების პირობებით და არა ომთან შეერთების პირობით...

ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ საქართველო უკვე იმყოფება ომში რუსეთთან, ჩვენ ვიცით, რომ საქართველო ოკუპირებულია და ამას ყოველ ჯერზე ვგმობთ ყველა რეზოლუციაში. ასე რომ, მე მძულს ამ განცხადების მოსმენა, ნამდვილად მამწუხრებს, რომ საქართველოში ზოგიერთი ადამიანი შეიძლება მართლა ფიქრობდეს ასე, რადგან საუბარი არ ეხება ომთან შეერთებას, ჩვენ არ გვსურს, რომ ომს შეუერთდეთ, ჩვენ გვსურს, რომ თქვენ ევროკავშირს შეუერთდეთ, მაგრამ ამისთვის არსებობს გარკვეული აუცილებელი ნაბიჯები და რეფორმები საქართველოს ხელისუფლებისთვის და არა რუსეთისთვის“, – განაცხადა გრეგოროვამ.

ოკუპირებული აფხაზეთის უძრავ ქონებას რუსეთი ეპატრონება

აფხაზეთის პარლამენტი შესაბამისი შეთანხმების რატიფიკაციას აპირებს

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეებს ოფიციალურად უძრავი ქონების შესყიდვის უფლება არა აქვთ. მიუხედავად ამისა, ნელ-ნელა აფხაზეთის მთელ რიგ ობიექტებს რუსები ეპატრონებიან. მოსახლეობა ამას აპროტესტებს.

პარლამენტი იანვარში რუსეთთან ხელმოწერილი შეთანხმების რატიფიკაციისთვის ემზადება

აფხაზეთის პარლამენტის საერთაშორისო და საპარლამენტთაშორისო კავშირების კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ლამის მთელი მთავრობა და პარლამენტი ესწრებოდა, მხარი დაუჭირეს შეთანხმების რატიფიკაციას რუსეთსა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში აფხაზეთის მთელი რიგი ობიექტების გადაცემის შესახებ. პარლამენტს რეკომენდაცია მიეცა, მოახდინოს მისი რატიფიკაცია.

შეთანხმებას ხელი მოეწერა მიმდინარე წლის 19 იანვარს. ის ითვალისწინებს რუსეთისათვის „ქონებრივი კომპლექსების“ უსასყიდლოდ გადაცემას, აგრეთვე საზღვაო აკვატორიის მიმდებარე მიწის ნაკვეთების იჯარით დათმობას.

კომიტეტმა აგრეთვე იმსჯელა 1995 წელს ხელმოწერილ შეთანხმებაზე. მასში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის დაცვის მთავარ სამართველოს ეძლევა უფლება, უსასყიდლოდ ისარგებლოს ბიჭვინთაში განლაგებული მე-8, მე-9 და მე-10 აგარაკებით არსებულ საზღვრებში და სხვა უძრავი ქონებით.

დიდი ალბათობით, აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანო რუსებისთვის საჩქარო შეთანხმების რატიფიკაციას არ დააყოვნებს.

მანამდე დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია პარლამენტის თავმჯდომარე ლაშა აშუბასთან ერთად 15 ივლისამდე სამუშაო ვიზიტით თათარსტანსა და ბაშკიროსტანს მოივლის. ამ რესპუბლიკებში ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე მსჯელობენ.

კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე მოისმინეს ბიჭვინთის ადმინისტრაციის ინფორმაცია მოსახლეობის შეშფოთების შესახებ. როგორც ჩანს, მოსახლეობის პროტესტს აფხაზეთის მიწა-წყლისა და უძრავი ქონების გასხვისებაზე ამ შემთხვევაშიც წაუყრუებენ.

ცოტა ხნის წინ მოსახლეობა წინ აღუდგა ხეების გაჩეხას დაბა აგუძერას ცნობილ პარკში. პარკი ოფიციალურად ეკუთვნის გულრიფშის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტს. ადგილობრივი ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ ეს კერძო საკუთრებაა.

ბიჭვინთაში შარშან რუსეთის ყოფილმა მაღალჩინოსანმა, ამჟამად მდიდარმა ბიზნესმენმა ალექსანდრ ტკაჩოვმა წამოიწყო სასტუმროსააპარტამენტო კომპლექსის მშენებლობა. საჯარო გამოსვლაში მან ახსენა მიწის შესყიდვა. საუბარია 45 ჰექტარზე. ხალხი ამის გამო აზვირთდა. აფხაზეთის მთავრობა დიდხანს არწმუნებდა მოსახლეობას, რომ მიწა არ გაყიდულა, რომ შესაბამისი ტერიტორია ინვესტორს ხანგრძლივი სარგებლობის უფლებით გადაეცა.

ეტყობა, ბიჭვინთა, რომელიც ცნობილია ბაგრატ მეფის დროს აგებული საპატრიარქო ტაძრით, უნიკალური ტბებით, ასევე საბჭოთა ლიდერების (მათ შორის, სტალინის) აგარაკებითა და სხვა ღირსშესანიშნაობებით, რუსების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება, რომელიც თითქოსდა აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ დამცველია, აფხაზეთს ნაწილ-ნაწილ აბარებს რუსეთის ფედერაციას. პრინციპულობას აფხაზეთში სხვა ქვეყნების მოღვაწეების მიმართ იჩენენ.

რატომ გადაემტერნენ აფხაზეთში ყაზახეთის პრეზიდენტს

აფხაზეთის კომპანია „ა-ტაქსიმ“ დიდ პოლიტიკაში თავისი სიტყვა თქვა. ამ ფორმამ, არც მეტი, არც ნაკლები, შეზღუდვები დაუწესა აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენსა და ყაზახეთის პრეზიდენტ კასიმ-ჟომარტ ტოკაევს.

დასავლეთის მიმართ მტრული განწყობა აფხაზეთში (ყოველ შემთხვევაში, საჯარო განცხადებებში) დიდი ხანია არსებობს. სიახლეა აფხაზეთის მოწინააღმდეგედ ყაზახეთის დასახელება.

კომპანიის დირექტორი ბასარია ამას იმით ხსნის, რომ ტოკაევი არ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ამავე საბაბითა და ლოგიკით, სოხუმი ბელარუსის ლიდერ ლუკაშენკოსაც უნდა აუმხედრდეს, თუმცა მას აფხაზეთში ემადლიერებიან და დაუსწრებლად აჯილდოებენ კიდეც.

ყაზახეთი რუსეთის გავლენიდან თავის დაღწევას ცდილობს, აფხაზი „პატრიოტები“ კი, როგორც ჩანს, ამას ვერ ეგუებიან.

აფხაზური კომპანიის დირექტორი ბასარია თავის ნაბიჯს ასე ხსნის:

– დიპლომატია გულისხმობს პოლიტკორექტულობას. ტოკაევს ის არ აღმოაჩნდა. თანამედროვე პოლიტიკა, აშშ-ისა და ევროპის მსგავსად, იყენებს სანქციებისა და შავი სიების პრაქტიკას. ჩვენ მსგავსი მეთოდები გამოვიყენეთ. სანქციები მანამდე იმოქმედებს, ვიდრე ტოკაევი არ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და ბოდიშს არ მოიხდის ჩვენი მოსახლეობის წინაშე.

ნინო წილოსანი: „არეულობისა თუ დესტრუქციის ფორმატი ნამდვილად ვერ იქნება დასავლურ გზაზე წარმატების მომტანი“

პარტია „ქართული ოცნების“ წევრ ნინო წილოსანის განცხადებით, არეულობისა თუ დესტრუქციის ფორმატი ნამდვილად ვერ იქნება დასავლურ გზაზე წარმატების მომტანი.

მან ჟურნალისტებთან საქართველოში ევროკავშირის ელჩის, კარლ ჰარცელის განცხადებები შეაფასა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი წარმატებით დასრულდება.

– ევროკავშირისკენ მიმავალი გზა აუცილებლად გადის ხალხის მიერ არჩეულ მთავრობასთან კონსტრუქციულ რეჟიმში თანამშრომლობაზე, რაც გულისხმობს ოპოზიციის თუ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების პოზიტიურ როლს, აუცილებლად გადის თუნდაც იმ რეკომენდაციების შესრულებაზე, რომელიც ჩვენთვის უპირატესია და რომლის შესრულების გზებიც უკვე დავსახეთ.

რა თქმა უნდა, აუცილებლად გადის მშვიდობიან პოლიტიკურ გარემოზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა არეულობისა თუ დესტრუქციის ფორმატი ნამდვილად ვერ იქნება დასავლურ გზაზე წარმატების მომტანი.

რაც შეეხება საქართველოს მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიეცა, ამის თაობაზე თავად ევროპული ქვეყნების ლიდერებმაც ისაუბრეს, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა და გარკვეულწილად იხელმძღვანელეს იმ გარემოებებით, რომლებიც უკრაინასა და მოლდოვაშია, ვგულისხმობ საომარ სიტუაციასა თუ ომის საშიშროებას, ამ კუთხით გულდასაწყვეტი იყო გადაწყვეტილება, რომ 6 თვით გადავადებულიყო კანდიდატის სტატუსის მინიჭება, თუმცა, იმედი გვაქვს, როგორც აქამდე, ჩვენი ძალისხმევა ასოცირებულ წევრობასთან, ვიზალიბერალიზაციასთან თუ თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებით წარმატებით დასრულდა. ამ შემთხვევაშიც, ის ზომები, რომლებიც დავსახეთ და რომლებშიც, იმედი გვაქვს, ოპოზიცია აუცილებლად შემოგვიერთდება, ყოველ შემთხვევაში, მათი ყველაზე კონსტრუქციული ნაწილი მაინც, ნამდვილად წარმატებით დასრულდება, – განაცხადა წილოსანმა.

საქართველოში ევროკავშირის ელჩ კარლ ჰარცელის განცხადებით, საქართველოს შესთავაზეს იმ კარში შესვლა, რომელიც ახლა ევროკავშირისკენ სვლისთვის ღიაა.

– ფაქტია, რომ საქართველოს შესთავაზეს იმ კარში შესვლა, რომელიც ახლა ევროკავშირისკენ სვლისთვის ღიაა. ბურთი ახლა საქართველოს მოედანზეა, მან უნდა უზრუნველყოს, რომ გასცდეს ამ კარის ზღურბლს. ეს ასევე არის ქვეყანა, რომელმაც წარსულში მიაღწია და გააფორმა ხელშეკრულებები ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის, უვიზო რეჟიმის შესახებ, – აღნიშნა კარლ ჰარცელმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო ინარჩუნებს ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას“

– მთავრობის კეთილსინდისიერების 2022 წლის ინდექსით, საქართველო მსოფლიოში 35-ე ადგილზე გავიდა და ევროპის ქვეყნების საუკეთესო ოცეულში დაწინაურდა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ევროპის ანტიკორუფციული ცენტრის სახელმწიფოს კეთილსინდისიერების ინდექსით, საქართველომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ესტონეთის შემდეგ, მეორე ადგილი დაიკავა.

– რამდენიმე ხნის წინ გამოქვეყნდა განახლებული მმართველობის კეთილსინდისიერების ინდექსები. ეს არის მსოფლიო ინდექსები, რომლებიც შემუშავებულია მსოფლიოს მოწინავე კვლევითი ორგანიზაციის და ვაშინგტონის, შეიძლება ითქვას, ნომერ პირველი ანალიტიკური ცენტრის გამოკვლევით. საქართველო, მთავრობის კეთილსინდისიერების 2022 წლის ინდექსით, მსოფლიოში 35-ე ადგილზე გავიდა და ევროპის ქვეყნების საუკეთესო ოცეულში დაწინაურდა.

მეორე, ეს არის ევროპის ანტიკორუფციული ცენტრის, სახელმწიფოს კეთილსინდისიერების ინდექსი, რომლის მიხედვითაც საქართველო მსოფლიოში 32-ე ადგილზე გავიდა და პოსტსაბჭოთა სივრცეში, ესტონეთის შემდეგ, მეორე ადგილი დაიკავა. მე მინდა ჩვენს მოსახლეობას, ჩვენს ხალხს ვუთხრა, რომ ეს არის ჩვენი მთავრობის მუშაობის შედეგი. მინდა ასევე გითხრათ, რომ შედარებისთვის, წელს უკვე აღნიშნული ინდექსის მიხედვით, მთავრობის კეთილსინდისიერების ინდიკატორით ნატოს წევრ 14 და ევროკავშირის 12 სახელმწიფოს ვუსწრებთ.

შედარებისთვის, მინდა გითხრათ, რომ 2012 წელს, მაშინ, როცა მთელ მსოფლიოს ეუბნებოდნენ და ჩვენს ხალხს ეუბნებოდნენ, თითქოს ნომერ პირველი სახელმწიფო ვიყავით რეფორმებითა და შესრულების მხრივ ინდიკატორებით, 69-ე ადგილზე ვიყავით, აი, ამ ინდექსის მიხედვით. არავითარ საუკეთესო ოცეულზე საუბარი არ იყო მაშინ. ეს უბრალოდ შედარებისთვის და ინფორმაციისთვის, კიდევ ერთხელ რომ შევახსენოთ ჩვენს საზოგადოებას, – განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, მეორე მნიშვნელოვანი წარმატებაა გლობალური მშვიდობის 2022 წლის ინდექსი, რომლის მიხედვითაც, საქართველო მშვიდობიანობის ათწლიანი პროგრესით მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

პრემიერის თქმით, მნიშვნელოვანია ასევე, რომ ღია ბიუჯეტის ინდექსით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა.

– მინდა, კიდევ ერთხელ შევახსენო ყველას – განახლება მოხდა და ღია ბიუჯეტის ინდექსით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა, მაშინ როდესაც ჩვენი ასოცირებული ტრიოს წევრები ახლა იწყებენ მუშაობას საჯარო ფინანსების რეფორმაზე და ა.შ. ამის გაუმჯობესებაზე, ჩვენ მსოფლიოში პირველ ადგილზე გავედით. პირველ ადგილზე გავიდა საქართველო ბიუჯეტის გამჭვირვალობის მხრივ. ეს არის ჩვენი მთავრობის მუშაობის შედეგი.

ასევე, მინდა გითხრათ, რომ მსოფლიო საერთაშორისო სავალუტო ფონდმა რამდენიმე ხნის წინ გამოაქვეყნა საკუთარი წინასწარი შეფასება და პროგნოზები. აქაც 190 ქვეყანას შორის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, ამერიკული დოლარით გამოხატული, ზრდის ტემპის მიხედვით, მსოფლიოში მე-3 ადგილზე დასახელდა ჩვენი ქვეყანა, ხოლო ევრაზიის კონტინენტზე პირველ ადგილზეა დასახელებული საქართველოს პოზიცია. აქვე მინდა ვთქვა, რომ „ჯიდიპი პერ კაპიტა“ და ე.წ. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, მომდევნო 6 წლის განმავლობაში გაორმაგდება და 2027 წლისთვის, მათი შეფასებით, დაახლოებით 9.000 დოლარს გადასცდება.

ეს ყველაფერი ჩვენი მთავრობის, მთლიანი ჩვენი გუნდის, მმართველი პარტიის ძალიან დიდი მუშაობის შედეგია“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, იმ ფონზე, როცა ევროპაში და მთელ მსოფლიოში პროცესები ეკონომიკის რეცესიისკენ მიემართება, საქართველპ ინარჩუნებს ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას.

პროკურატურა „მთავარისა“ და „ფორმულას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას დეზინფორმაციას უწოდებს

საქართველოს პროკურატურა ტელეკომპანიების „მთავარისა“ და „ფორმულას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც გენერალური პროკურორის ირაკლი შოთაძისა და უწყების სხვა პროკურორების ოჯახების ქონებრივ მდგომარეობას ეხება, განცხადებას ავრცელებს და დეზინფორმაციას უწოდებს.

„საზოგადოების ინფორმირების მიზნით, გვსურს გამოვეხმაუროთ ტელეკომპანიების – „მთავარისა“ და „ფორმულას“ მიერ გავრცელებულ ცრუ და განზრახ დამახინჯებულ ინფორმაციას გენერალური პროკურორის ირაკლი შოთაძის და უწყების სხვა პროკურორების ოჯახების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

სამწუხაროდ, დეზინფორმაციის გავრცელება დღევანდელ რეალობაში ზოგიერთი მედიასაშუალების ჩვეულ საქმიანობად იქცა და მათი მიზანი ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოების გამართული საქმიანობისთვის ხელის შეშლა, კონკრეტული თანამდებობის პირების დისკრედიტაცია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა.

საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია მსგავსი დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ მიმართულებით, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მომავალშიც მოვახდენთ პროაქტიულად საზოგადოების ინფორმირებას.

სამწუხაროა, თუმცა აუცილებლად აღსანიშნავია, რომ მედიასაშუალებები მსგავსი ცრუ და არასწორი ინფორმაციების გავრცელებისას უხეშად არღვევენ ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს, რისი ნათელი მაგალითიც გუშინ გასული სიუჟეტებია.

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას, რომ ტელეკომპანია „მთავარი“ მათ მიერ მომზადებულ ე.წ. სიუჟეტთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურს საერთოდ არ დაჰკავშირებია, არ უცდია ინფორმაციის გადამოწმება და უწყებისთვის არცერთი კითხვით არ მოუმართავს.

რაც შეეხება ტელეკომპანია „ფორმულას“, ტელევიზია რეპორტაჟის მომზადებამდე დაუკავშირდა პროკურატურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურს და ყველა დასმულ კითხვაზე მათ წერილობით მიეწოდათ ამომწურავი პასუხები. ასევე განემარტათ, რომ ინფორმაცია მათთვის საინტერესო პირებზე დეტალურად ასახულია თანამდებობის პირის საჯარო დეკლარაციაში და ეხელმძღვანელათ ამ ინფორმაციით.

მიუხედავად ამისა, სიუჟეტის ავტორებმა არ გამოიყენეს თანამდებობის პირთა დეკლარაციებში არსებული საჯარო ინფორმაციები და რეპორტაჟში არ გააჟღერეს მათ კითხვებზე პროკურატურიდან მიღებული ვრცელი პასუხები, უწყების განმარტებები და შემოიფარგლნენ მხოლოდ ერთი ზოგადი ფრაზით, მაშინ როდესაც ჟურნალისტური სტანდარტებით, მათ სრულად უნდა გაეჟღერებინათ პროკურატურიდან მიღებული პასუხები.

ცხადია, რომ ხსენებული ტელეკომპანიების მიერ სიუჟეტების მომზადების ფორმა და მათში გაჟღერებული ყალბი ინფორმაციის სიმრავლე, ცალსახად უსვამს ხაზს მათ არაობიექტურობასა და ინფორმაციის ცალმხრივად გაშუქების სურვილს. აღნიშნული დეზინფორმაციის ავტორების მიზანი საზოგადოებაში პროკურორებზე უარყოფითი განწყობის შექმნა, მათი იმიჯის შელახვა და საქართველოს პროკურატურის დისკრედიტაციაა.

აღნიშნულ სიუჟეტებში წარმოდგენილი არასწორი და დამახინჯებული ფაქტების სიმრავლის გამო საჭიროდ მიგვაჩნია, პასუხი გავცეთ ცილისწამებას.

ტელეკომპანია „მთავარის“ მიერ მომზადებული სიუჟეტი იწყება საქართველოს გენერალური პროკურორის საცხოვრებელი ბინის ე.წ. რეზიდენციად მოხსენიებით. აღნიშნული უძრავი ქონება თბილისში, ცაგარელის ქუჩაზე, მრავალსართულიან კორპუსში მდებარე 150 კვ.მ. საცხოვრებელი ბინაა, რომლის შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მითითებული ირაკლი შოთაძის მიერ სხვადასხვა წლებში შევსებულ თანამდებობის პირის საჯარო დეკლარაციებში. აღნიშნული ბინა გენერალურ პროკურორს 2016 წელს კრედიტით და ასევე, სხვა ბინის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით აქვს შეძენილი და ამჟამადაც იგი დატვირთულია იპოთეკით წავკისში მიწის ნაკვეთის შეძენის სანაცვლოდ. ასევე, „მთავარის“ სიუჟეტში უკვე მეორედ ამავე ტელევიზიის მიერ მოხდა ტირაჟირება ყალბი ინფორმაციის, რომ თითქოსდა ხსენებული ბინის რემონტი ირაკლი შოთაძეს 1 მილიონი ლარი დაუჯდა, რაც არის მტკნარი სიცრუე და რომლის თაობაზეც მათ ჯერ კიდევ 2021 წლის 16 მაისს უწყებამ საჯაროდ უპასუხა.

კერძოდ, ცაგარელის ქუჩაზე მდებარე ბინაში, სადაც ირაკლი შოთაძე დღესაც ცხოვრობს, რემონტი ჩატარებულია 2016-2017 წლებში და რემონტის ღირებულება გენერალურ პროკურორს მითითებული აქვს ასევე დეკლარაციებში. მაშინდელ სიუჟეტში აღნიშნულმა ტელევიზიამ ისიც კი იკადრა, რომ სრულიად სხვა ადამიანის განსხვავებულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელი ბინის სურათები უჩვენა საზოგადოებას, ვითომდა იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული ბინის რემონტში დახარჯული იყო ძალიან დიდი თანხა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულმა ტელევიზიამ გაიგო, რომ სრულიად სხვა ბინაზე საუბრობდნენ მაშინ, გუშინდელ სიუჟეტში კიდევ ერთხელ გაიმეორა ეს ცრუ ინფორმაცია. შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკის დარღვევის უხეშ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში, რაც კიდევ უფრო მეტად ხაზს უსვამს აღნიშნული სიუჟეტის სუბიექტურობასა და დეზინფორმაციის გავრცელების სურვილს.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთს წავკისში, რომლის შესახებაც ასევე საუბარი იყო „მთავარისა“ და „ფორმულას“ სიუჟეტებში, აღნიშნული მიწის ნაკვეთის შეძენის თაობაზეც ირაკლი შოთაძეს დეკლარაციაში საკმაოდ დეტალური ინფორმაცია აქვს მითითებული, საიდანაც ცხადად ჩანს, რომ 1305 კვ.მ. ნაკვეთი მას შეძენილი აქვს ძირითადად ბანკიდან აღებული მრავალწლიანი იპოთეკური კრედიტით. ხსენებულ მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და მისი ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ირაკლი შოთაძის დეკლარაციაშივე ასახული დიდ დიღომში, ქოშიგორაზე მდებარე მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან შემოსული თანხით, რომელიც მას შეძენილი ჰქონდა ჯერ კიდევ 2011 წელს.

ასევე, ტელეკომპანია „მთავარის“ მიერ გავრცელებული მორიგი სიცრუეა, რომ თითქოს ირაკლი შოთაძის ოჯახის ყოველწლიური შემოსავალი უფრო ნაკლებია, ვიდრე გასავალი. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და მოქალაქეს შეუძლია გადამოწმება. გენერალური პროკურორის მიერ შევსებულ საჯარო მოხელის დეკლარაციაში ყველაფერი ნათლად არის მითითებული და ჩანს ყველა ხარჯი და შემოსავალი, რომელიც სრულად არის ასახული და დასაბუთებული.

2019 წელს საჯარო სამსახურის ბიურომ შეისწავლა ირაკლი შოთაძის 2018 წლის დეკლარაცია და შემოწმების შედეგებით დადგინდა, რომ დეკლარაცია იყო სრულყოფილი და დასაბუთებული.

„როგორ ვიყიდოთ დაახლოებით 120.000 დოლარის უძრავი ქონება, როცა ჩვენი შემოსავალი მხოლოდ 2000 ლარია“ – ამ მორიგი ტყუილით იწყება ტელეკომპანია „ფორმულას“ არაერთი სიცრუით გაჯერებული სიუჟეტი ირაკლი შოთაძის, ჯარჯი წიკლაურისა და რევაზ ბაღაშვილის უძრავ ქონებებთან დაკავშირებით. ირაკლი შოთაძის ქონებრივ დეკლარაციაში ცხადად არის მითითებული, რომ გენერალური პროკურორის ხელფასი არ შეადგენს 2000 ლარს და ისიც, რომ წავკისში მიწის ნაკვეთი მრავალწლიანი იპოთეკური სესხით არის შეძენილი. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნათლად ჩანს გენერალური პროკურორის და მისი ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა, შემოსავალი და გასავალი. „ფორმულას“ სიუჟეტის შემქმნელებიც არ შემოიფარგლნენ მხოლოდ ზეპირი ტყუილებით და ამ შემთხვევაშიც თავის სიუჟეტში აჩვენეს მეზობლად, სხვა ადამიანის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის ფოტოები (რენდერები) და წარმოაჩინეს ისე, თითქოს ირაკლი შოთაძე ხსენებული პროექტის მიხედვით აშენებს სახლს. რეალურად, ხსენებული ე.წ. პროექტის რენდერები გენერალურ პროკურორს არ ეკუთვნის და მდებარეობს სხვა მისამართზე.

ასევე, „ფორმულას“ სიუჟეტში საუბარი იყო იმის შესახებ, თითქოსდა ე.წ. პროკურორების კორპუსში საცხოვრებელ ბინებს მხოლოდ გახმაურებული საქმის პროკურორები ფლობენ და ეს პროკურორებისთვის გაწეული სამსახურისთვის მიღებული პირადი გასამრჯელოა, რაც არის სიცრუე და დეზინფორმაცია.

აღნიშნული საცხოვრებელი ბინა რევაზ ბაღაშვილსა და ჯარჯი წიკლაურს შეძენილი აქვთ იპოთეკური სესხით, რომელიც იფარებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში.

ასევე, ამავე სიუჟეტში დამახინჯებულად არის წარმოდგენილი ინფორმაცია, თითქოსდა რევაზ ბაღაშვილი ფლობს 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთს დაბა ბაკურიანში. სინამდვილეში, რევაზ ბაღაშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 200 კვ.მ. და შეძენილია 2015 წელს დაახლოებით 3700 აშშ დოლარად და ამის თაობაზე ნათლად არის ინფორმაცია მითითებული რევაზ ბაღაშვილის საჯარო პირის ქონებრივ დეკლარაციაში.

ამასთან, მორიგი სიცრუეა „მთავარი არხის“ მიერ მომზადებულ სიუჟეტში გაჟღერებული ინფორმაცია, თითქოს ჯარჯი წიკლაური ფლობს „რეზიდენციებს“ შინდისში და თითქოს მას მეუღლის სახელზე აქვს გაფორმებული სასტუმრო კომპლექსი დაბა გუდაურში. სინამდვილეში, ჯარჯი წიკლაურის მეუღლეს საკუთრებაში გააჩნია საცხოვრებელი ბინა 150 კვ.მ. მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში დაბა გუდაურში. რაც შეეხება შინდისის რეზიდენციას, აღნიშნული ინფორმაცია სრულად გამოგონილია, ვინაიდან ჯარჯი წიკლაური საკუთრებაში ფლობს მხოლოდ მიწის ნაკვეთს 700 კვ.მ.-ს და არანაირი რეზიდენცია არ არსებობს. აღნიშნულის გადამოწმება მარტივად შეეძლო სიუჟეტის ავტორს, თუმცა ცხადია, რომ მიზანი გამოგონილი და ცრუ ინფორმაციის გავრცელება იყო კონკრეტული პროკურორების დისკრედიტაციის მიზნით.

ამას გარდა, ტელეკომპანია „ფორმულას“ სიუჟეტში ნახსენებია თამარ აღლემაშვილი, როგორც კაბელების საქმის პროკურორი. სინამდვილეში ე.წ. კაბელების საქმის პროკურორი თამარ აღლემაშვილი არ ყოფილა და, შესაბამისად, ბინა გასამრჯელოდ, საჩუქრად არ მიუღია.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ ყველა მათ მიერ დასმულ კითხვაზე წერილობით გაეცა ამომწურავი პასუხი, რაც არ გამოუყენებიათ მომზადებულ რეპორტაჟში. მათ რომ ობიექტური სიუჟეტის მომზადების სურვილი ჰქონოდათ, უწყების მიერ მიწოდებული პასუხებით ამის სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, თუმცა, სამწუხაროდ, ცხადია, მათ სრულიად სხვა მიზნები ამოძრავებთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პროკურატურაზე ცილისმწამებლური თავდასხმა და სიცრუის ტირაჟირება არ არის ახალი და, როგორც წესი, პროკურატურის თანამშრომლების მიმართ ცრუ ინფორმაციის გავრცელება პერიოდულ და კამპანიურ ხასიათს ატარებს, ძირითადად ისეთი სისხლის სამართლის საქმეების მსვლელობის პარალელურად, როდესაც კონკრეტულ პოლიტიკურ ძალებთან კავშირში მყოფი პირების დანაშაულებზე სამართალწარმოება მიმდინარეობს. ნათელია, რომ პროკურორების მიმართ დაწყებული მორიგი ცრუ პიარკამპანია მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და წარმოადგენს უწყების დისკრედიტაციის უსუსურ მცდელობას.

ხაზი უნდა გაესვას, რომ აღნიშნული კამპანიის ავტორები ცდილობენ პროკურატურის და კონკრეტული პროკურორების საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენას და ამასთან დაკავშირებითაც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მსგავსი სიყალბეებითა და დეზინფორმაციებით ვერავინ მიაღწევს მიზანს; საქართველოს პროკურატურა გააგრძელებს კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას და თითოეული პროკურორის საქმიანობა, დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა სრულად იქნება დაცული საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების ფარგლებში.

მოვუწოდებთ აღნიშნული და მსგავსი დეზინფორმაციის ავტორებს, თავი შეიკავონ ცრუ და ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებისგან. საზოგადოების ობიექტურად ინფორმირების მიზნით, თითოეული მსგავსი ყალბი ინფორმაციის გავრცელებას შესაბამისი პასუხი გაეცემა, მათ შორის, ცილისმწამებლური განცხადებების უარყოფის მოთხოვნით სამოქალაქო წესით სასამართლოსადმი მიმართვის გზით“, – წერია ინფორმაციაში.

ზაქრო ვარდიაშვილმა მძინარე ცოლი მოკლა

საქართველოს პროკურატურამ მეუღლის განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალი წარუდგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 8 ივლისს, თბილისში, ჟონეთის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლში ზ.ვ.-მ გენდერის ნიშნით, მძინარე მეუღლეს ლ.ზ.-ს ჩაქუჩით თავზე დაზიანება მიაყენა. მიყენებული დაზიანების შედეგად ლ.ზ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული შემთხვევის ადგილზე იმავე დღეს დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის „ე“, „თ“ და „კ“ ქვეპუნქტით (გენდერის ნიშნით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს“, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

ავტომობილის ქურდობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკრაინის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული ვ.ფ. სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილი ქურდობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

საგამოძიებო უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული 1993 წელს დაბადებული მ.მ.-ს კუთვნილ ავტომობილს უკანონოდ დაეუფლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ავტომობილის ადგილსამყოფლის დადგენა, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის იდენტიფიცირება და დაკავება მყისიერად მოხდა.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პირი ახმეტაში დააკავეს

კახეთის პოლიციამ ახმეტაში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალდებული პირი დააკავა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, კახეთის საოლქო პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ჯ.ლ. დაკავეს.

უწყების ცნობით, მას ბრალად განსაცდელში მიტოვება და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა ედება, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

„დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, რომელიც, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მიმდინარე წლის 27 ივნისს, ღამით, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ საკობიანოში მსუბუქი ავტომობილით შეეჯახა ქვეითად მოსიარულე თანასოფლელს – 1975 წელს დაბადებულ ა.ჭ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაზიანებების შედეგად ა.ჭ. იმავე ღამეს გარდაიცვალა. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 128-ე და 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც განსაცდელში მიტოვებასა და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

კახეთში სასწრაფოს მანქანა მიკროავტობუსს დაეჯახა

ყვარელი-ლაგოდეხის დამაკავშირებელ გზაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა ავარიაში მოყვა. ადგილობრივების ინფორმაციით, საწინააღმდეგოდ მიმავალი მიკროავტობუსი და სასწრაფო დახმარების მანქანა ერთმანეთს შეეჯახა, შედეგად ორივე სატრანსპორტო საშუალება სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამოტრიალდა. შემთხვევის დროს დაშავდა ოთხი ადამიანი, მათგან ექიმისა და ექთნის ჯანმრთელობის მდგომარეობა შედარებით მძიმეა. ისინი თელავის რეფერალურ საავადმყოფოში მოათავსეს და შესაბამისი დახმარება უტარდებათ.

ამერიკაში წალენჯიხელი მაქსი დაიღუპა

დიდი ტრაგედია დატრიალდა ამერიკაში. ახალგაზრდა ქართველი ბიჭი ავარიას ემსხვერპლა. დაღუპული 30 წლის მაქსი გაბელიაა. ის წალენჯიხიდან იყო. არსებული ინფორმაციით, მაქსი ტრაილერის მძღოლად მუშაობდა. „ძლივს მოვძებნე ეს სურათი. აი, ასეთი წავიდა ჩვენი მაქსი ამერიკაში, ჰოლივუდის მსახიობივით ლამაზი და წარმოსადეგი, უკეთესი ცხოვრების იმედით და ახლა მთელი ქვეყანა შევყარეთ, რომ უკან დავიბრუნოთ და მშობლიური წალენჯიხის მიწას მივაბაროთ“, – დაწერა ახლობელმა სოცქსელში. არსებული ვერსიით, მაქსს საჭესთან ჩაეძინა.

ლიზ ტრასი გაერთიანებული სამეფოს პრემიერობისთვის იბრძოლებს

გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი ლიზ ტრასი შეეცდება, „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერისა და, შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის პოსტზე ბორის ჯონსონი ჩაანაცვლოს.

დეილი ტელეგრაფთან საკუთარი გეგმების შესახებ საუბრისას ლიზ ტრასმა განაცხადა, რომ პრემიერმინისტრობის შემთხვევაში გადასახადებს პირველივე დღიდან შეამცირებს.

მისივე თქმით, ასევე მიიღებს სასწრაფო ზომებს, რათა დაეხმაროს ადამიანებს ცხოვრების ხარჯებთან გამკლავებაში.

შეგახსენებთ, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა გადადგომის შესახებ განცხადება გასულ კვირას გააკეთა. „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერობის კანდიდატთა სიაში უკვე რამდენიმე ადამიანია, მათ შორის გენერალური პროკურორი სუელა ბრავერმანი, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი საჯიდ ჯავიდი, ვაჭრობის მინისტრი პენი მორდონტი, ტრანსპორტის მინისტრი გრანტი შაპსი, ფინანსთა ყოფილი მინისტრი რიში სუნაკი.

შრი-ლანკის პრეზიდენტი გადადგომას აღასტურებს

შრი-ლანკის პრეზიდენტმა გოტაბაია რაჯაპაქსამ გადადგომა დაადასტურა. ბიბისის ინფორმაციით, ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ოფისში განაცხადეს.

გამოცემის ცნობით, საპროტესტო აქციის მონაწილეებს პრეზიდენტის სასახლე და პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია კვლავ დაკავებული აქვთ და უარს აცხადებენ მის დატოვებაზე, ვიდრე ლიდერები არ გადადგებიან.

შრი-ლანკის პარლამენტის თავმჯდომარემ შაბათს განაცხადა, რომ პრეზიდენტი თანამდებობას 13 ივლისიდან დატოვებს.

რაჯაპაქსას ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია, მაგრამ სამხედრო წყაროებმა ბიბისის განუცხადეს, რომ ის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდზე შრი-ლანკის ტერიტორიულ წყლებში იმყოფება.

შეგახსენებთ, ათასობით დემონსტრანტი, რომლებიც შრი-ლანკაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას აპროტესტებენ, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის რეზიდენციებში შაბათს შეიჭრა.

რუსულმა ძალებმა მიკოლაივს ექვსი რაკეტა ესროლეს

რუსულმა ძალებმა 11 ივლისს, დილით, მიკოლაივს ექვსი რაკეტა ესროლეს. წინასწარი ინფორმაციით, თავდასხმის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა. უკრაინული მედიის ცნობით, ამის შესახებ მიკოლაივის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვიტალი კიმი იუწყება.

– 11 ივლისს, დილით, მიკოლაივში აფეთქებების ხმები გაისმა. ინფორმაცია ზუსტდება. ახლა შევიტყვეთ, რომ 6 რაკეტა ისროლეს. მსხვერპლი არ არის (დაშავებულია ერთი ადამიანი), – განაცხადა კიმმა.

ამასთან, მისივე ინფორმაციით, რუსული ძალების მიერ 10 ივლისს განხორციელებული დაბომბვის შემდეგ ბერეზნეგუვაცკეს დასახლებასა და სოფელ ლიმანში მინდვრებში ნათესები იწვის.

პორტუგალიაში ტყის ხანძრის შედეგად 29 ადამიანი დაშავდა

პორტუგალიაში ტყის ხანძრის შედეგად 29 ადამიანი დაშავდა. ინფორმაციას გარდიანი ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, ქვეყნის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ დაშავებულებს შორის 12 მეხანძრე და 17 მოქალაქეა.

ხანძარს ათობით თვითმფრინავი და 3.000-ზე მეტი მეხანძრე ებრძვის.

კვირას ევროკავშირმა გააააქტიურა ხანძარსაწინააღმდეგო საჰაერო ფლოტის დახმარების პროგრამა, რომელიც წევრ ქვეყნებს პორტუგალიის დასახმარებლად რესურსების გამოყენების საშუალებას აძლევს.

ტყის ხანძრის მიზეზი ძლიერი სიცხეა. სინოპტიკოსების პროგნოზით, უახლოეს დღეებში ჰაერის ტემპერატურა კიდევ უფრო გაიზრდება და 43 გრადუს ცელსიუსს მიაღწევს.

საფრანგეთი რუსული გაზის სრული შეწყვეტისთვის ემზადება

საფრანგეთის მთავრობა რუსული გაზის მიწოდების სრული შეწყვეტისთვის ემზადება.

ამის შესახებ საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა ბრუნო ლე მაირმა განაცხადა.

– ვფიქრობ, რომ რუსული გაზის მიწოდების სრული შეწყვეტა რეალურია... და ჩვენ უნდა მოვემზადოთ ამ სცენარისთვის, – განაცხადა მან და დასძინა, რომ „ამ სცენარის იგნორირება სრულიად უპასუხისმგებლო იქნება“.

ამასთან, მისი თქმით, პირველი ნაბიჯი ოჯახებისა და ბიზნესებისთვის მისი მოხმარების შემცირებაა, შემდეგ კი – შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა თხევადი ბუნებრივი აირის გადაზიდვისთვის.

როგორ მედია წერს, საფრანგეთში მიწოდების დაახლოებით 17% რუსეთიდან მოდის და საფრანგეთი ნაკლებად არის დამოკიდებული რუსულ გაზზე, ვიდრე ზოგიერთი მისი მეზობელი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

პოლიციელებისგან გაქცევის მცდელობამ დამნაშავე უშარვლოდ დატოვა

ამერიკის ფლორიდის შტატის ბრენფორდის მუნიციპალიტეტში ნახევრადშიშველმა დამნაშავემ შარვალი იმ დროს დაკარგა, როდესაც პოლიციისგან მიმალვას ცდილობდა.

პოლიციელები კერძო სახლში მას შემდეგ მივიდნენ, როდესაც მიიღეს შეტყობინება იმის თაობაზე, რომ მამაკაცი წასვლაზე უარს ამბობდა. სანამ პოლიციელები ადგილზე მივიდოდნენ, მათ შეიტყვეს, რომ ეჭვმიტანილი 50 წლის ჯეს ლემბი ძებნაში იმყოფებოდა 2021 წელს სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო. იქ უნდა განხილულიყო მისი საქმე ავტომობილის მართვის მოწმობის გარეშე მართვასთან დაკავშირებით.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა დაინახეს, რომ ლემბი სახლის უკანა ეზოდან მოკლე შარვლის ამარა გარბოდა მდინარის მიმართულებით. სამართალდამცავები მამაკაცს გამოეკიდნენ, მაგრამ ის მდინარეში გადახტა, ნავმისადგომთან მიცურდა და შეეცადა, მის ქვეშ დამალულიყო.

როდესაც პოლიციელებმა ჩაბარება მოსთხოვეს, ის მათ დაეთანხმა, მაგრამ, როგორც კი გამოძვრა, მაშინვე საწინააღმდეგო მიმართულებით გაემართა.

– ჯესიმ პოლიციელებს უთხრა, რომ ნებდებოდა, მაგრამ, ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ მისი ნდობა არ შეიძლებოდა, – განაცხადეს შერიფის ოფისში.

გაქცევის დროს დამნაშავემ მოკლე შარვალი დაკარგა, თუმცა მაინც მოახერხა მეორე ნავმისადგომამდე მიღწევა და ისევ მის ქვეშ დაიმალა. ლემბი პოლიციელებს დამალობანას ორი საათი ეთამაშებოდა.

ბოლოს და ბოლოს, ის შეეცადა, მდინარის მეორე ნაპირზე გაეღწია და იქ დამალულიყო, მაგრამ ნავმისადგომის მფლობელის დახმარებით პოლიციელებმა მაინც დაიჭირეს. ლემბი ციხეში გადაიყვანეს. მას სასამართლოში გამოუცხადებლობისა და დაკავების დროს პოლიციელებისთვის არაძალადობრივი წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოკოვიჩის 21. ჟაბერი ისტორიაში ვერ შევიდა

ლონდონში დასრულდა პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირი – უიმბლდონი. ჩემპიონები ბრიტანული კორტისთვის კარგად ნაცნობი სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი და ყაზახი ელენა რიბაკინა გახდნენ.

ჯოკოვიჩმა კარიერის 21-ე დიდი სლემი მოიგო. სერბმა ფინალში ავსტრალიის სახელით მოასპარეზე ნიკ კირიოსი 4:6, 6:3, 6:4, 7:6 დაამარცხა და უიმბლდონის ტრიუმფატორი ზედიზედ მეოთხედ გახდა. სულ კი ნოლემ ტურნირი მეშვიდედ მოიგო.

სერბს დიდი სლემის ტიტულებით ახლა მხოლოდ რაფაელ ნადალი უსწრებს. ესპანელმა მატადორმა გრანდ სლემის მოგება 22-ჯერ მოახერხა, უიმბლდონის მიმდინარე გათამაშებას კი ტრავმის გამო ნახევარფინალში გამოეთიშა.

ქალთა ერთეულთა თანრიგის გამარჯვებული წარმოშობით რუსი და ყაზახეთის სახელით მოასპარეზე ელენა რიბაკინა გახდა.

რიბაკინა ფინალში ონს ჟაბერს შეხვდა. ფავორიტად ტუნისელი იგებდა კიდეც, მაგრამ რიბაკინამ შესანიშნავად ჩაატარა მომდევნო 2 სეტი და მატჩი შემოატრიალა – 3:6, 6:2, 6:2 დაამარცხა.

აღსანიშნავია, რომ ჟაბერმა ისტორიაში შესვლის შანსი დაკარგა. ტუნისელს შეეძლო, გამხდარიყო პირველი ჩოგბურთელი აფრიკის კონტინენტიდან, რომელიც დიდი სლემის ტურნირს მოიგებდა.

დი მარია და პოგბა იუვენტუსში ითამაშებენ



ტურინის იუვენტუსმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არგენტინელი ნახევარმცველი ანხელ დი მარია შავ-თეთრებში ითამაშებს.

34 წლის ფეხბურთელი იტალიურ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. არგენტინელს პარი სენ-ჟერმენთან კონტრაქტი ამოეწურა და მის გახანგრძლივებაზე შეთანხმება არ შედგა.

გარიგების დეტალები არ სახელდება, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციით, დი მარია ტურინულ კლუბთან ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, ხოლო ხელფასი 6 მილიონი ევრო ექნება.

არგენტინელი 22-ე ნომრით ითამაშებს.

უფრო ხმაურიანი გამოდგა 29 წლის პოლ პოგბას იუვენტუსში გადასვლა. „ბებერი ქალბატონის“ ვებგვერდზე გავრცელებული განცხადებით, ტურინელებმა ფრანგი ნახევარმცველის გაფორმება დაადასტურეს:

– პოლი ტურინში დაბრუნდა. იგი წავიდა, როგორც ბიჭი და დაბრუნდა, როგორც კაცი და ჩემპიონი, თუმცა ერთი რამ არ შეცვლილა: მისი სურვილი, რომ ჩვენთან ერთად დაუვიწყარი ფურცლები დაწეროს.

გავრცელებული ინფორმაციით, პოგბა და იუვენტუსი 2026 წლის ივნისამდე ითანამშრომლებენ, ხოლო ყოველწლიური ანაზღაურება 8 მილიონი ევრო იქნება, რომელსაც ბონუსების სახით გარკვეული თანხა დაემატება. აღსანიშნავია, რომ პოგბას აგენტებმა საკომისიოს სახით 2.5 მილიონი ევრო მიიღეს.

შეგახსენებთ, რომ 29 წლის ნახევარმცველი მანჩესტერიდან ტურინულ გრანდში 2012 წელს უფასოდ გადავიდა, ხოლო 2016 წელს მაშინდელ სარეკორდო ფასად – 105 მილიონი ევროდ ისევ მანჩესტერმა იყიდა. თუმცა 5 სეზონის შემდეგ პოგბა „წითელი ეშმაკებიდან“ ისევ „ბებერ ქალბატონში“ მიდის და ისევ უფასოდ.

ტენ ჰააგს ენერგია უნდა

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი ერიკ ტენ ჰააგი კლუბის ხელმძღვანელობას ამსტერდამის აიაქსის მცველ ლისანდრო მარტინესის შეძენას სთხოვს.

ნიდერლანდელს სურს, მარტინესის ტრანსფერი რაც შეიძლება მალე დასრულდეს, რაც საშუალებას მისცემს მოთამაშეს, თანდათან მოერგოს ახალ გუნდს.

ტენ ჰააგს ასევე სურს, კატალონიური ბარსელონიდან კიდევ ერთი თანამემამულე, ფრენკი დე იონგი გადაიბიროს.

ერიკ ტენ ჰაგი:

– რა თქმა უნდა, მინდა, გუნდს ენერგია მივცე. ჩვენ 2 კვირა გვაქვს, რომ ახლოს ვიყოთ და ერთად ვიმუშაოთ. უკეთ უნდა გავიცნოთ ერთმანეთი. გვინდა ვაჩვენოთ აქტიური ფეხბურთი – ბურთით და მის გარეშე. ჩვენი მიზანია, ვეცადოთ ამის მიღწევას. შტაბი უხსნის ფეხბურთელებს, რომ ყველა სიტუაციაში საჭიროა პრაქტიკულად მოქმედება.

მამაცი გუნდი გვყავს. გვსურს გვქონდეს ბურთი, შევთავაზოთ ერთმანეთს სხვადასხვა ვარიანტი. იგივე ეხება ბურთის გარეშე მუშაობას – ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ კარგი პრესინგი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

მეგობრის საჩუქარმა ქალი ლატარიის გამარჯვებულად აქცია

ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ აბერდინის მცხოვრებმა ქალმა მეგობრისგან მცირე საჩუქარი მიიღო, რომლის წყალობითაც მან ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი მოხსნა.

მეგობარმა 38 წლის ქალს მომენტალური ლატარიის ბილეთების შეკვრა აჩუქა. აქედან ერთ-ერთი მომგებიანი აღმოჩნდა. ქალს თავიდან ეგონა, რომ მისმა ბილეთმა 100 დოლარი მოიგო.

ქალმა ბილეთი შესამოწმებლად ადგილობრივ მაღაზიაში მიიტანა. გამყიდველმა ის შეამოწმა და ქალს უთხრა, რომ შეცდა და მისმა ბილეთმა სინამდვილეში იმაზე სამასჯერ მეტი მოიგო, ვიდრე ფიქრობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისმა მოგებამ არა 100, არამედ 30 ათასი დოლარი შეადგინა.

– თქვენ რა, მეხუმრებით? – წამოიძახა ქალმა, რომელიც მოგებული თანხით საკუთარი სახლის კეთილმოწყობას აპირებს.

სოფლის მცხოვრებლებმა დაიჭირეს ნიანგი, რომელმაც მათი თანასოფლელი შეჭამა



ინდონეზიაში ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებმა მიაგნეს და დაიჭირეს ნიანგი, რომელიც მათ თვალწინ თავს დაესხა მათ თანასოფლელს და გადაყლაპა.

დაჭერილი რეპტილიის ამსახველი კადრები, რომელიც ქვეყნის პროვინცია დასავლეთ პაპუაშია გადაღებული, გასული თვის ბოლოსაა გადაღებული. ვიდეოზე მოხვდა ის მომენტი, როდესაც ტელუკ-ბინტუნის ოლქის მცხოვრებლებს სამეტრნახევარი სიგრძის გაკოჭილი რეპტილია ნავით გადაჰყავთ.

ნიანგის თავდასხმა ადამიანზე 28 ივნისს მოხდა. პროფესიით მშენებელი იენიმან ბერნარდი ნავში იჯდა, როდესაც მის გვერდით ნიანგი გამოჩნდა, მტაცებელმა მას პირი ხელში სტაცა და წყლის სიღრმეში ჩაითრია. თვითმხილველების თქმით, მამაკაცმა ორი წუთის შემდეგ ამოყვინთა, დახმარება ითხოვა და ისევ წყლის ქვეშ გაუჩინარდა.

დაღუპულის კოლეგებმა მომხდარის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას აცნობეს. მათ სამძებრო ოპერაცია დაიწყეს, რომელშიც მამაკაცის თანასოფლელებიც ჩაერთნენ. მეორე დღეს თანასოფლელებმა მიაგნეს და დაიჭირეს ნიანგი, რომელსაც მუცელი ჰქონდა გამობერილი.

რეპტილიის გაკვეთის შემდეგ მის კუჭში ადამიანის სხეულის გადამუშავებულ ნაწილებს მიაგნეს.

– ჩვენ ვადასტურებთ, რომ ნიანგის მუცელში აღმოჩდა იმ ადამიანის სხეულის ნაწილები, რომელსაც ვეძებდით, მსხვერპლის ცხედარი ძალიანაა დაზიანებული, – განაცხადა ადგილობრივი პოლიციის უფროსმა ლუკას რესიხოლ ლიმბონგმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველომ იტალია დაამარცხა – გამოუშვით დიდი გუნდები

საქართველო-იტალია 28:19

ბათუმი. აჭარაბეთ არენა

ბათუმის „აჭარაბეთ არენას“ სავსე ტრიბუნებიდან გულშემატკივრების შეძახილებით გამხნევებულმა „ბორჯღალოსნებმა“ იტალიას 3 ღელო გაუტანეს და ისტორიაში პირველად ტიერ 1-ის გუნდი დაამარცხეს – 28:19.

იტალიასთან მანამდე 4-ჯერ გვქონდა ნათამაშები, ყველა ჯერზე სტუმრად და ყველა თამაში აპენინელებმა მოიგეს (1998 წელს – 31:14, 2000 წელს – 51:7, 2003 წელს – 31:22), ბოლოს 2018 წელს ფლორენციაში 28:17. „აძურის“ საქართველოში ჩამოსვლა ქართული რაგბისა და მისი გულშემატკივრის დიდი ხნის ოცნება იყო და ეს ახდა.

რადგან იტალია 6 ერის გუნდებიდან საქართველოსთან ყველაზე ახლოსაა, თამაშის მიმართ ინტერესი ძალიან დიდი იყო. პირდაპირი ტელერეპორტაჟები რამდენიმე პრესტიჟულ არხზე გადაიცა. მოვლენას ბათუმიდან საერთაშორისო პრესაც აშუქებდა.

იტალია ტიერ 1-ის მე-2 გუნდია (შოტლანდიის შემდეგ), რომელიც სათამაშოდ საქართველოში ჩამოვიდა და ქართული რაგბი სათანადოდ მოემზადა. საზეიმო განწყობის შექმნა მატჩამდე 2 დღით ადრე დაიწყო. გაიმართა კონცერტები, მოეწყო მსვლელობები, ჩატარდა ტურნირი ქვიშის რაგბიში. შესანიშნავი „აჭარაბეთ არენა“ საზეიმოდ მოირთო. თამაშზე მისულ ყველა გულშემატკივარს სკამზე საქართველოს დროშა დახვდა.

გუნდების სათამაშოდ გამოსვლას ემოციების მოზღვავების კულმინაცია მოჰყვა. საქართველოს ჰიმნი სოფო ხალვაშთან ერთად გულშემატკივარმა ცოცხლად შეასრულა და სარაგბო ზეიმი საქართველომ ნანატრი მოგებით დაასრულა.

მთელი 80 წუთის განმავლობაში შექმნილმა მუხტმა „ბორჯღალოსნებს“ მოტივაცია გაუასმაგა და პირველიდან ბოლო წუთამდე ჩანდა, ყველა მათგანი მზად იყო, მოედანზე ყველაფერი დაედო, ოღონდ გულშემატკივარი გაეხარებინა.

პირველი ტაიმის საწყის და ბოლო 15 წუთში ყველაფერი კარგად გამოდიოდა, შუალედში კი სტუმრებმა დაწინაურებაც კი მოახერხეს. მთელი თამაში მრავლად იყო ფეხით დარტყმები და საბრძოლო ბურთებს ხშირად ჩვენები იგებდნენ, რასაც 2 ღელოც მოჰყვა.

თამაში ორივე გუნდმა ნერვულად დაიწყო, რასაც ახლდა ტექნიკური წუნი და შეცდომები. მე-8 წუთზე მეტოქეს ჩვენი 22-ის ხაზთან ამოვაცალეთ ბურთი და კონტრშეტევა წამოვიწყეთ, მაგრამ, რადგან წინსვლა არ იყო, ფეხით საბრძოლო ბურთი გადავკიდეთ და იტალიელები დავაჯარიმეთ. 45 მეტრიდან დარტყმაც შეიძლებოდა, მაგრამ ლელოზე თამაში ვარჩიეთ. 10 მეტრიდან მოლი ვერ დავძარით, ფორვარდების დარტყმებს მცველები მაგრად დაუხვდნენ, ვასილ ლობჟანიძემ ფანტაზია ჩართო და ბურთი ფეხით შეაცურა ღელოში, ოვალს სანდრო თოდუა მიჰყვა და ზედ კიდესთან დაამიწა. ეს თოდუას 99-ე ტესტ-მატჩი და მე-15 ღელო იყო. თედოს გარდასახვა გაუცუდდა – 5:0 მე-11 წუთზე.

სამოდე წუთში ფეხით გადაკიდებული ბურთი დავით ნინიაშვილმა ჩვენს ნახევარზე დაიჭირა, ფინტით პირველი მბოჭავი ჩამოიცილა და მარჯვენა ფრთაზე შეუტია, საჭირო დროს ბურთი თედო აბჟანდაძეს გაატანა, რომელმაც თავის მხრივ, ფინტით ბოლო მცველიც ჩამოიშორა და ღელო ძელებშუა გაიტანა. ამჯერად გარდასახვაც ზუსტი იყო. მალე თედომ უპირატესობის გაზრდა ცენტრიდან ცადა, მაგრამ ჯარიმის შესრულებისას მიზანმა ცოტათი უმტყუნა.

ტაიმის შუაში იტალია გააქტიურდა და მძლავრად შემოგვიტია. მათი მოლი შევაჩერეთ, მაგრამ ბურთი ფრთაზე გავიდა, 2 ბოჭვა გაფუჭდა და ტომაზო მენონჩელომ ღელო გაქვითა, ტომაზო ალანმა კი გარდასახა. 27-ე წუთზე ჩვენს ნახევარზე დავკარგეთ ბურთი და სწრაფი კონტრშეტევა მივიღეთ, კარის წინ დავჯარიმდით და ალანმა სხვაობა 2 ქულამდე დაიყვანა.

თამაში განახლდა თუ არა, ბექა გორგაძემ მეტოქე დააჯარიმა. აბჟანდაძის დარტყმული ძელმა აისხლიტა, ბურთი მაინც ჩვენ დაგვრჩა, მაგრამ იტალიამ კარგი დაცვა დაგვახვედრა. 32-ე წუთზე სტუმრებმა კარის წინ 40 მეტრიდან ჯარიმა გაიტანეს და ერთი ქულით დაწინაურდნენ. პასუხად ნინიაშვილმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა, 36-ე წუთზე ჩვენს ნახევარზე, ცენტრის სიახლოვეს 2 იტალიელს საჰაერო ბრძოლა მოუგო და დაიძრა, ერთ მცველს მარჯვენა ფრთაზე გაექცა და, შიგნით შესულს, ღელომდე სანტიმეტრები დააკლდა. რაქს ფორვარდების 3 დარტყმა მოჰყვა, რის შემდეგაც ბურთი ხაზზე გავიდა და აბჟანდაძემ კარის წინ ხაზი გაჭრა, ღელო ძელებშუა გაიტანა და თავადვე გარდასახა – 19:13.

შესვენებამდე სტუმრებმა დიდი შტურმი მოგვიწყვეს, თუმცა ტრიბუნების შეძახილების ფონზე „ბორჯღალოსნებმა“ თავდადებული დაცვა ითამაშეს და ტაიმიც დამთავრდა.

შესვენების შემდეგ საწყისი წუთები სტუმრების იყო. იტალიელებმა რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა და შეტევა განახორციელეს, ღელოსთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ დაცვა წითელ ზონაში მაგრად დადგა. მერე მასპინძლებმა შეძლეს თამაშის სასურველ ზონაში გადატანა და სასურველი ჯარიმების გამომუშავება. კარგად ითამაშეს შეცვლაზე შესულმა მორაგბეებმა, მათ შორის დებიუტანტებმა ნიკა აბულაძემ და ლადო ჩაჩანიძემ.

მასპინძლები შეცდომებს უშვებდნენ, რის გამოც რამდენიმე კონტრშეტევა ვერ წამოვიღეთ, თუმცა თავგანწირვამ აქაც გამოიღო შედეგი და სტუმრებმა 52-ე წუთზე ჯარიმითღა შეძლეს 3 ქულის აღება. საქართველომ წნეხი გააძლიერა, 56-ე წუთზე მეტოქეს შეცდომა დააშვებინა და აბჟანდაძემ ახლოდან 6-ქულიანი სხვაობა აღადგინა. ტაიმის შუაში გიორგი ჭყოიძე და გიგა შვილი ჩავიდნენ ბურთზე და იტალია კიდევ ერთხელ დააჯარიმეს. გელა აფრასიძემ კარიდან მარჯვნივ, 40 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ბურთი კვლავ ძელმა აისხლიტა.

დაძაბულობა პიკს აღწევდა, როდესაც აფრასიძემ თავისი ნახევრიდან მიუთითა კარისკენ, 55 მეტრიდან დაჰკრა და ბურთი ძელებშუა გააძვრინა. იტალიამ თამაშის გადარჩენა ცადა და 73-ე წუთზე გატანილი ჯარიმით კვლავ 6 ქულის ფარგლებში დაბრუნდა. დასკვნითი წუთები საქართველომ დამაჯერებლად ჩაატარა. მართალია, 75-ე წუთზე მეტოქის შერკინებაში მოპოვებული ჯარიმა აფრასიძემ ვერ გაიტანა, მაგრამ 77-ე წუთზე აბჟანდაძე კარის წინიდან ზუსტი იყო. ამან იტალია აიძულა, საფინალო სასტვენამდე 40 წამით ადრე ჯარიმა კარში დაერტყა, მაგრამ სიჩქარეში ბურთი მიზანს ასცდა და საბოლოო, ისტორიული შედეგი დაფიქსირდა – 28:19!

საფინალო სასტვენისთანავე მოედანზე ზეიმი დაიწყო. მოედანზე გავიდნენ ვეტერანი მორაგბეები. „ბორჯღალოსნებს“ გამარჯვება პირადად მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, ქვეყნისა და აჭარის მთავრობის წევრებმა, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა სოსო ტყემალაძემ და სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა.

ქირონ ქროული:

– სტადიონზე შესანიშნავი ატმოსფერო იყო. მოსამზადებელი პერიოდითა და თამაშის ორგანიზებით კმაყოფილი ვარ. ის სრულად შეესაბამებოდა ტიერ 1-ის დონეს. შეხედეთ, რამდენი ჟურნალისტია, რამდენი კამერაა, ბოლოს აღარც მახსოვს, როდის ვიყავი ასეთ პრესკონფერენციაზე. ეს შესანიშნავი დღეა საქართველოსთვის. მათ მოგება ჩვენზე მეტად დაიმსახურეს. საქართველოს კარგი უკანახაზელები ჰყავს, ნინიაშვილი საოცრება იყო. რთულ მატჩს ველოდით და კარგად მოვემზადეთ. სიურპრიზი არ ყოფილა, უბრალოდ, ვიღაცას უნდა წაეგო და მეტოქემ მოგება მეტად დაიმსახურა.

ლევან მაისაშვილი:

– რთულია, იტალიასთან მოგება დაგეგმო, თუმცა ჩვენ ეს მიზანი გვქონდა და შევასრულეთ. განსხვავებით წინა შეხვედრებისგან (ტიერ 1-ის გუნდებთან), თამაშის წინ ბიჭებს ვუთხარი – დღეს ის დღე არ არის, რომ ტაბლოს არ შევხედოთ, დღეს ჩვენ გამარჯვება გვჭირდება. ამ თამაშში მთელმა სამწვრთნელო შტაბმა, ბიჭებმა, დიდი შრომა ჩადეთ და ბედნიერი ვარ, რომ დაგვიფასდა. ამ გამარჯვებამ დიდი თავდაჯერებულობა შეგვმატა. მთელ მსოფლიოს დავანახეთ, რომ ჩვენც შეგვიძლია თამაში და ელიტისკენ მიმავალ რთულ გზაზე ერთი საფეხურით წინ წავიწიეთ. ბოლო წლებში ძალიან რთული გზა გავიარეთ. პირველ რიგში, იყო თაობათა ცვლა. დღეს ამ ბიჭებმა დაგვანახეს, რა შეუძლიათ.

მერაბ შარიქაძე:

– გასახდელში რომ შევედით, რამდენიმე მოთამაშემ ერთმანეთს გადავხედეთ და ვთქვით, ისე არ დაგვემართოს, რომ ახლა პორტუგალიასთან სირცხვილი ვჭამოთო. იოლი არ იქნება, მაგრამ ვნახეთ, როგორი კარგი გუნდი ჰყავს პორტუგალიას, დაუფასებლობას არავინ გვაპატიებს და სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ მაგ თამაშისთვის მომზადება.

არ მახსენდება საქართველოში ჩატარებული არცერთი თამაში, რომელშიც გულშემატკივარი ასე აქტიურობდა. საოცრება იყო, 100 წელი რომ ვიცოცხლო, არასდროს დამავიწყდება. ძალიან დიდი მადლობა მათ – ამ თამაშში გადამწყვეტი როლი ითამაშეს. მე ვამაყობ იმით, რომ ჩვენ ვგრძნობდით ძალიან მაღალ პასუხისმგებლობას, რათა გულშემატკივრისთვის ამ ისტორიულ მატჩში გული არ დაგვეწყვიტა და ეს გამოგვივიდა.

16 ივლისს „ბორჯღალოსნები“ ზაფხულის სერიის მე-3 მატჩს ქუთაისში პორტუგალიასთან გამართავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ძიუდოისტთა ხუთი მედალი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები უნგრეთის გრან სლემს 13-კაციანი გუნდით ეწვია და 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლით დაასრულა.

გრან სლემის პირველ დღეს საქართველოს ნაკრებმა 2 მედალი მოიპოვა და 2-ვე უმსუბუქეს – 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე ნაბიჯი დააკლდა მსოფლიოსა და ევროპული თამაშების ჩემპიონ ლუხუმ ჩხვიმიანს, რომელიც ასპარეზობას მე-2 წრიდან შეუდგა.

ისრაელელ, მოლდაველ, იტალიელ და ყაზახ მეტოქეებთან გამარჯვების შემდეგ ჩხვიმიანი გადამწყვეტ შეხვედრაში ბელგიელ იორე ფერსტაპენთან ოქროს ქულით დამარცხდა და ვერცხლი ირგუნა.

მე-3 ადგილი დაიკავა თემურ ნოზაძემ, რომელიც შეჯიბრებაში ასევე მე-2 წრიდან ჩაება. მომავალი მედალოსანი ბრიტანელ და ჩეხ მოწინააღმდეგეებს გაუმკლავდა, მეოთხედფინალში კი ყაზახ ბაირუან ნარბაიევთან დამარცხდა. მე-3 ადგილისთვის ბრძოლის შანსი რეპეშაჟში მიეცა, სადაც ჯერ იტალიელ ანჯელო პანტანოს მოუგო, ბრინჯაოს ფინალში კი მონღოლ არიუნბოლდ ენხტაივანს აჯობა.

უნგრული ტატამი შედეგიანი გამოდგა საქართველოს ჩვენი გუნდის ყველაზე ტიტულიანი ძიუდოისტისთვის, ლაშა შავდათუაშვილისთვის (73).

ოლიმპიური თამაშების სამივე ხარისხის მედლის მფლობელი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი შეჯიბრებაში მე-2 წრიდან ჩაება, დაამარცხა ამერიკელი, მონღოლი, იტალიელი და პოლონელი მოწინააღმდეგეები და ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. შავდათუაშვილი გადამწყვეტ შეხვედრაში აზერბაიჯანელ ჰიდაიან ჰეიდაროვთან ოქროს ქულით დამარცხდა და გრან სლემი ვერცხლის მედლით დაასრულა.

ბექა ღვინიაშვილმა (90) სერბი, ტაჯიკი და ამერიკელი მოწინააღმდეგეები დაამარცხა, მაგრამ მეოთხედფინალში იაპონელ სანშირო მურაოსთან ოქროს ქულით წაგების შემდეგ რეპეშაჟზე გადაერთო. ბექამ ბრინჯაოს შანსი გამოიყენა – უნგრელი გერგელ ნერპელი იპონით დაამარცხა და კვარცხლბეკის მე-3 საფეხურზე შედგა.

უნგრული ტატამი შედეგიანი გამოდგა ჩვენი გუნდის ყველაზე გამოცდილი წევრის ვარლამ ლიპარტელიანისთვისაც (100), რომელმაც ფინალამდე გაიკვლია გზა, მაგრამ ოქროს მედლისთვის შეხვედრაში დამარცხდა.

რიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელი, მსოფლიო ჩემპიონატების 3 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, 4 ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს, ასევე ევროპული თამაშების 2 ვერცხლის მედლის მფლობელი ლიპარტელიანი შეჯიბრებას პირველი წრიდან შეუდგა. სერბი, გერმანელი, ბრაზილიელი და დანიელი მეტოქეების დამარცხების შემდეგ, გადამწყვეტ შეხვედრაში იაპონელ კენტარო იდასთან ვაზარით დამარცხდა და უნგრეთის დიდი პრიზი ვერცხლის მედლით დაასრულა.

სხვა მონაწილეებს მედლისთვის შანსი არ ჰქონია. გეტყვით იმასაც, რომ გაერთიანებული არაბეთის საემიროების სახელით ბრინჯაოს მედალი ნუგზარ ტატალაშვილმა მოიპოვა.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პატარა მოთხრობა; 2. მგალობელი ჩიტი; 3. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 6. გზის საფარი; 9. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 15. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 16. ტყავის დამამზადებელი ოსტატი; 17. ისლამის ფუძემდებელი; 19. ბრიტანეთის ნაწილი; 21. სპეციალური სპორტული მარხილებით შეჯიბრება სწრაფდაშვებაში; 22. თემის, გვარის წინამძღოლი სვანეთში.

თარაზულად: 5. უბანი თბილისში; 7. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 8. ძვირფასი ნივთები, განძი, ფასეულობა; 10. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 12. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 13. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. ფრანგი მარშალი, შვედეთის მეფე; 18. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 20. აფრიკის უდაბნოდან მობერილი ცხელი ქარი; 23. ყოველდღიური გაზეთი ბრიტანეთში; 24. საკანონმდებლო ორგანოში შეტანილი კანონპროექტი ინგლისსა და აშშ-ში; 25. აზერბაიჯანული სასიმღერო ჟანრი; 26. საკარმიდამო მამული საფრანგეთში; 27. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სუპორტი; 2. სტეინიცი; 3. პროფანი; 5. შორაპანი; 7. ანკლავი; 9. ჰიპოლოგია; 13. მარტინი; 15. ოკენცე; 16. ჟუდეცი; 18. ტრევი.

თარაზულად: 4. ბუდეშური; 6. მსტოვარი; 8. კონტრაგენტი; 10. კელნერი; 11. პინო; 12. ქვევრი; 14. ბორტი; 17. პოლკა; 19. გენტი; 20. ცერცვაძე; 21. ალტი; 22. მტევანდიდი; 23. შილინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლოგიკა; 2. სინა; 3. მაიამი; 4. კამორა; 6. გურიელი; 9. არაყი; 11. გეშეფტი; 15. შეკვეთილი; 16. ჯავარა; 17. ხიზილალა; 19. იომიური; 21. ჩხავერი; 22. სუდოკუ.

თარაზულად: 5. ხოზაფინი; 7. ურთხელი; 8. ამქარი; 10. კრედიტი; 12. რურუა; 13. სტეპი; 14. მაყაშვილი; 18. ოპეკი; 20. ჯალიტა; 23. დუკერი; 24. აუდი; 25. პირელი; 26. კილი; 27. პროექტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8830

ევრო — 2.9156

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4472

100 რუსული რუბლი — 4.6312

ამინდის პროგნოზი 12 ივლისისათვის

უსმან დემბელე ბარსელონასთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს



ბარსელონის ფორვარდი უსმან დემბელე გუნდთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს და, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს საკმაოდ მალე მოხდება.

დემბელე ბარსელონაში იმყოფება. მისმა აგენტმა განაცხადა, რომ უსმანი მზად არის, ბარსელონას პირობებზე მოელაპარაკოს.

დემბელე, სავარაუდოდ, ბარსელონასთან 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს, რომლის მიხედვითაც, მისი ანაზღაურება არ შემცირდება.

დიბალა, შესაძლოა, ნაპოლის ფეხბურთელი გახდეს

პაულო დიბალამ, შესაძლოა, კარიერა ნაპოლიში გააგრძელოს და ხვიჩა კვარაცხელიას თანაგუნდელი გახდეს.

ამის შესახებ ინფორმაცია იტალიურ მედიაში ვრცელდება, სადაც იწერება, რომ დიბალას იუვენტუსის დატოვება სურს, რადგან იქ ის თავს ბედნიერად არ გრძნობს.

დიბალას ტურინიდან წასვლის შესახებ ინფორმაცია ადრეც ვრცელდებოდა, მაგრამ მაშინ ეს მხოლოდ ჭორი აღმოჩნდა.

ანჩელოტი: „რეალს ბევრი ახალი ფეხბურთელი არ სჭირდება“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალს გაძლიერება ნაკლებად სჭირდება, რადგან მათ ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავთ:

– შესაძლოა, ზაფხულში ტრანსფერები განვახორციელოთ, მაგრამ ჯერჯერობით ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ჩვენ საკმარისად გვყავს მოთამაშეები, რომლებსაც შეგვიძლია ვენდოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გამარჯობა გოგი! ასე სევდიანად რატომ გამოიყურები?

– ბიჭი შემეძინა.

– მერე მაგას რა ჯობია, უნდა გიხაროდეს!

– კი კარგია, მაგრამ ცოლმაც გაიგო...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მორჩა, შენგან მივდივარ!

– ნაგავი გააყოლე.

●●●

გამომძიებელი მამაკაცს ეკითხება:

– თქვენი ცოლი რომ იხრჩობოდა, რატომ არ გადაარჩინეთ?

– ვერ მივხვდი, თუ იხრჩობოდა, ის ყოველთვის ისე ღრიალებდა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, ჩემმა ცოლმა სადღაც წაიკითხა ყველაფრის უმად ჭამა უფრო სასარგებლოაო...

– ჰო, არც ჩემსას უყვარს სადილის მომზადება.

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, საიდან გავჩნდით?

– ღმერთმა შეგვქმნა...

– აბა, დედა რომ ამბობს, მაიმუნებისგანო...

– დედა თავის წინაპრებს გულისხმობს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლიზა ყენიამ მაია ჯაბუას სიმღერა ახლებურად ჩაწერა

მომღერალმა ლიზა ყენიამ დედის, მაია ჯაბუას სიმღერის ახლებური ვერსია ჩაწერა, მასზე ვიდეორგოლი საკუთარი მობილურით გადაიღო, ინტერნეტში გაავრცელა და ბევრი მოწონება და შექებაც დაიმსახურა.

„შენ და ზღვა“ – ასე ჰქვია ცნობილ სიმღერას, რომელიც მაია ჯაბუას ეკა კახიანმა დაუწერა. ლიზა ყენიას სიმღერის ახლებურ ვერსიაზე ალეკო ბერძენიშვილმა იმუშავა:

– ჩემგან საჩუქრად დიდი სიყვარულით დედას – მაია ჯაბუას. ეს კლიპი გადავიღე ჩემი მობილურით, დავამონტაჟე ჩემით და მინდა იცოდეთ, რომ თუ რამე გულით გინდათ გააკეთოთ, არაფერმა შეგაჩეროთ.

მინდოდა, მაია ჯაბუასთვის გამეკეთებინა ეს საჩუქარი და, ვფიქრობ, გამომივიდა მისი გაბედნიერება. მადლობა, რომ არსებობ და ჩემი დედიკო ხარ. დიდი მადლობა ამ საოცარი სიმღერის შექმნისთვის, ეკა კახიანო, მიყვარხარ! და უღრმესი მადლობა ამ არაჩვეულებრივი ვერსიისთვის ძალიან ნიჭიერ ადამიანს, ალეკო ბერძენიშვილს. მიხარია, რომ ჩემი მეგობარია.

ნანა ფაჩუაშვილი დააჯილდოვეს

რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი ნანა ფაჩუაშვილი დააჯილდოვეს. მსახიობს ჯილდო „ანიდან ჰოემდე“ გადაეცა.

ფონდი „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ ჯილდოს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პირებს დიასპორულ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და საქართველოს პოზიტიური კუთხით წარმოჩენისთვის გადასცემს.

მამუკა პავლიაშვილი: „ყველას ახსოვდეს – თეატრი არტისტებისაა!“

აცხადებს ცხინვალის თეატრის მსახიობი მამუკა პავლიაშვილი და კინომსახიობთა თეატრიდან აკაკი ხიდაშელის წასვლას ეხმაურება:

– თეატრიდან არტისტი წავიდა. აიძულეს, წასულიყო, თანაც ძაალიან კარგი არტისტი, თითზე ჩამოსათვლელნი რომ არიან, ისეთი!

წლების წინაც გაუშვეს ერის ლეგენდარული მსახიობები თეატრიდან და ამ საქმის ერთ-ერთმა მონაწილემ, მაპატიოს მისმა სულმა, მიუხედავად საერთო სახალხო სიყვარულისა, ყველას გულისწყრომა გამოიწვია.

არ ვიცი, ამას რა ჰქვია! უბრალოდ, ვიცი, რომ ასე არ უნდა ხდებოდეს! ვიცი საკუთარი გამოცდილებითაც, როდესაც წლების წინ ასე, ყოველგვარი მიზეზის გარეშე წინასაახალწლო სიურპრიზი გამიკეთეს და თეატრიდან გამიშვეს, სადაც 10 წელი გავატარე, ვითამაშე მიმდინარე რეპერტუარის ყველა სპექტაკლში. გამიშვეს, უბრალოდ, იმიტომ, რომ ერთ ადამიანს ასე მოესურვა! მოგეხსენებათ, მსახიობი ზედმეტად მგრძნობიარეა და დღემდე ამ ამბის გახსენება მთრგუნავს.

არტისტებს ერთი ცუდი თვისებაც გვაქვს, ასეთი შემთხვევების დროს არ ვართ ერთსულოვანნი. ყველა თავის ტყავს უფრთხილდება, თორემ ვერავინ გაბედავდა.

და ბოლოს, ყველას ახსოვდეს – თეატრი არტისტებისაა!

აკაკი ხიდაშელი კინომსახიობთა თეატრიდან წავიდა

მსახიობმა აკაკი ხიდაშელმა განცხადება დაწერა და კინომსახიობთა თეატრიდან წავიდა. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ამის მიზეზი მსახიობების დისკრიმინაციაა.

12 ივლისს კინომსახიობთა თეატრში რეჟისორ ზურა გეწაძის მიერ დადგმული სპექტაკლი „მეფე ლირი“ უნდა გათამაშებულიყო, რომელშიც აკაკი ხიდაშელიც მონაწილეობს. თეატრმა ოფიციალურ გვერდზე გააკეთა განცხადება, რომ სპექტაკლი მსახიობის ავადმყოფობის გამო მოიხსნა და ბოდიშიც მოიხადა. რეალურად კი სპექტაკლი თეატრში არსებული მდგომარეობის გამო მოიხსნა.

ზურა გეწაძე, „მეფე ლირის“ რეჟისორი:

– რეალური მიზეზი, რატომაც მოიხსნა სპექტაკლი „მეფე ლირი“, არის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის არასამართლიანი, უკანონო და დისკრიმინაციული დამოკიდებულება მსახიობების მიმართ.

იხილეთ აკაკი ხიდაშელის განცხადება და ყველაფერს მიხვდებით.

ჩემი სოლიდარობა ქართული თეატრის გამორჩეულ, უმაგრეს მსახიობს, პროფესიონალს, ღირსეულ პიროვნებას – ბატონ აკაკი ხიდაშელს!

პ.ს. უხერხულია, თუმანიშვილის თეატრი რომ მბლოკავს და კომენტარს ვერ ვწერ თეატრის გვერდზე.

აკაკი ხიდაშელის განცხადებაში კი წერია:

– თეატრში მიმდინარე ბოლო მოვლენებმა გააჩინა ბევრი შეკითხვა, რომლებზეც პასუხები თქვენგან ვერ მივიღე. როგორც გახსოვთ, თქვენი წარდგინების დღეს კულტურის მინისტრი დასის წევრებს ხელფასების გაზრდას შეჰპირდა. მან თავისი დაპირება შეასრულა და მართლაც სამინისტრომ თეატრს საგრძნობლად გაუზარდა ბიუჯეტი. შემდეგ, აპრილის ბოლოს, როცა თქვენ ახალი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება დაიწყეთ მსახიობებთან, ეტყობა, მიიჩნიეთ, რომ უკვე მაღალი თანამდებობის პირს აშკარად დისკრიმინაციის უფლებაც გქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რამდენიმე წევრს გაუზარდეთ საგრძნობლად ხელფასი, მიმაჩნია, რომ ისინი დღეს მეტსაც იმსახურებენ. დასის დანარჩენ წევრებს ან დაუტოვეთ მანამდე არსებული ხელფასი, ან შეუმცირეთ, ზოგს კი, ჩვენდა გასაკვირად, საარსებო მინიმუმამდე დაუყვანეთ. თქვენ ასე „მოახმარეთ“ თუმანიშვილის თეატრს სამინისტროდან დამატებული ხელფასი. ჩემთან ინდივიდუალური შეხვედრის დროს, როდესაც მაცნობდით ახალი ხელშეკრულების პირობებს, თქვენ ყველაზე მიზერული ხელფასის, 240 ლარის დანიშვნის მიზეზად დამისახელეთ შემდეგი: რომ „საჭიროება ახლა ასეთია თეატრისთვის“, შემდეგ დღეებში კი გაირკვა, რომ სიტყვა „საჭიროება“ დისკრიმინირებულ ყველა მსახიობთან გამოიყენეთ, თუმცა ვერ ახსენით, თანხობრივად როგორ განსაზღვრავთ საჭიროებას. ესა თუ ის მსახიობი ან საჭიროა თეატრში, ან არ არის საჭირო. თუ საჭიროა, ხელფასს რა ნიშნით აკლებთ? ხოლო რადგან კრიტერიუმების გარეშე აკლებთ, ეს უკვე დისკრიმინაციაა. 2 ასეთი სამარცხვინო ხელფასის დანიშვნის მიზეზად მითხარით, რომ მე კიდევ სხვა ორ თეატრშიც ვმუშაობ, თუმცა პირადად თქვენ, ესოდენ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნის მიუხედავად, კიდევ სხვა, ორ სამსახურშიც იღებთ ხელფასს და ამის წინააღმდეგი არ ხართ. მე გენდეთ, რადგან ჩავთვალე, რომ თეატრში ხელფასის გაცემის ახალი წესი განსაზღვრეთ, რის გამოც თქვენ მიერ შემოთავაზებულ ხელშეკრულებას იქვე მოვაწერე ხელი. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, თქვენ იცრუეთ, რადგან იმ მსახიობებს, რომლებიც ანალოგიურად სხვადასხვა თეატრში მუშაობენ, პირიქით, გაუზარდეთ ანაზღაურება, რაც ჩემთვის მხოლოდ სასიხარულოა. მსახიობების მიერ მოთხოვნილი დასის ბოლო კრების შემდეგ ჩემთვის კიდევ უფრო გაუგებარი დარჩა აღნიშნული ცვლილებების მიზეზი და საფუძველი. გაუგებარია ისიც, თუ რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელეთ, როცა ესოდენ დისკრიმინაციული და მკვეთრი განსხვავების უფლება მიეცით თავს დასის იმ მსახიობთა მიმართ, რომელთაც შეურაცხმყოფელად შეგვიმცირეთ ხელფასი. ხელფასების ასეთი სამარცხვინო დაკლება დაუშვით მაშინ, როცა კულტურის სამინისტრომ თეატრს სახელფასო ფონდში თანხა მოუმატა და არა პირიქით – თეატრის ბიუჯეტს 90.000 ლარზე მეტი დაემატა. ყოველივე ამის გამო დასში, მათ შორის იმ მსახიობებში, რომლებსაც მოემატათ ხელფასი, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ განხორციელებული დისკრიმინაცია იმ მდგომარეობა განზრახვით ჩაიდინეთ, რათა რეპერტუარიდან გაგეყროთ ყველაზე მოთხოვნადი სპექტაკლი, რადგან ფიქრობდით, რომ ამ სპექტაკლში მონაწილე მსახიობები პროფესიული შეურაცხყოფისა და ელემენტარული თავმოყვარეობის გამო დატოვებდნენ თეატრს და სპექტაკლის მოხსნა თქვენ აღარ დაგბრალდებოდათ.



ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ თქვენთან, როგორც თუმანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობისთვის შეუფერებელ პირთან, ერთობლივად ხელოვნების ნაწარმოების შექმნაზე ფიქრიც კი ჩემთვის შეუძლებელი იქნება, რის გამოც გადავწყვიტე, დავტოვო თეატრი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 ივლისისათვის

ვერძი – თავი შეიკავეთ საქმიანი მოლაპარაკებებისაგან. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზეა. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. **ტყუპები** – დაძაბული დღეა. იფრთხილეთ ყველგან. ერიდეთ კამათს. **კირჩხიბი** – ხელმძღვანელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. ყოველგვარ წინააღმდეგობას დაძლევთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ქალწული** – სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **სასწორი** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია კარიერული წინსვლა. საქმე მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით აკეთეთ. **თხის რქა** – სისულელეებზე არ იფიქროთ და, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სწორი დასკვნები გააკეთეთ. **მერწყული** – სამომავლო გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. შესაძლოა, ახალი, საინტერესო სამსახურიც იშოვოთ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. სიფრთხილე გამოიჩინეთ პარტნიორთან ურთიერთობისას.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. თევზაობა ღამით ჩირაღდნის გამოყენებით; 2. უფროსი მღვდელი ქართულ ეკლესიაში; 3. ქერის პური; 5. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 7. საბჭოთა ბელადი; 9. დაკონსერვებული პროდუქტებით გამოწვეული მძიმე მოწამვლა; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 15. კათოლიკეთა რელიგიური საგალობელი; 16. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 18. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი.

თარაზულად: 4. ნიჟარაში ბინადარი უხერხემლო ცხოველი; 6. გამოსახულების გაბუნდოვანება ან დამახინჯება ოპტიკურ ხელსაწყოებში; 8. ინდური იგავ-არაკების კრებული; 10. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 11. ტვირთის ასაწევი კიდული მექანიზმი; 12. საათის მექანიზმი; 14. გამარტივებული ნახაზი; 17. ბრიტანული არაყი; 19. ბნელი, უმთვარო ღამე; 20. მეცნიერება მეღვინეობის შესახებ; 21. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 22. ვაზის მავნებელი მწერი; 23. შეჯვარების შედეგად მიღებული ცხოველის ან მცენარის სახეობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა